

## ქვიარ ეროვნება

ლორენ ბერლანგი & ელიზაბეთ ფრიმანი

მთარგმნელი: აია ბერაია

ახლა კანი ძლიერად და ადამიანურად იგრძნობოდა.

ისინი ბგერებისა და სხვა საგნების ბაგონები გახდნენ.

ერები საკუთარ პირებში გააგარეს.

ისინი მსაჯულები გახდნენ.

- ზორა ნილ ჰურსტონი, „მათი თვალები ღმერთს უყურებდა“

ჩვენ ყველგან ვართ. ჩვენ ყველაფერი გვინდა.

- Queer Nation, გეი პრაიდი, ნიუ იორკი, 1991

## უფიცავ, ვუერთგულებ დროშას

სანდრა ბერნჰარდის ფილმის („შენ გარეშე მე არაფერი ვარ“) ბოლოს დივა ამერიკის დროშაში ეხვევა. ეს აქტი, რომელიც პრინსის „Little Red Corvette-ის“ მისეულ ინტერპრეტაციას წარმოაჩენს, ფემინური დრეგის, ფემინისტური კემპის დაგვირგვინებაა. ბერნჰარდი დგამს არა სქესის ბინარულ კროსდრესინგს, არამედ მასკარადს, რომელიც გენდერის სიცხადეს აბუნდოვანებს, იგი აგებს ქალს სექსუალური პრაქტიკების სიმრავლეში, რომელთა საჯაროობის ფორმები იცვლება დეკადის, სუბკულტურული წარმოშობის, სიამოვნების ქანრების (მუსიკა, მოდა, პოლიტიკური თეატრი) და კოლექტიური ეროტიკული ფანტაზიების კონვენციების მიხედვით. ფილმის დიდი ნაწილის განმავლობაში სექსუალურად ჩაცმული ბერნჰარდი იხდის და რჩება მხოლოდ დროშით და ბრჭყვიალებიანი წითელი, თეთრი, ლურჯი სტრინგით და პეისგით და ამგვარად აშიშვლებს ეროვნულ სხეულს - თავის სხეულს. ეს ეროვნული სხეული არ მიმართავს განზოგადებული ამერიკელების მასობრივ ან აბსტრაქტულ აუდიტორიას და არც კემპის სტილში გამოიხმობს „ტიპური“ ამერიკელი მოქალაქის ნოსტალგიას კოლექტიურ მეხსიერებაზე, რიტუალსა და აფექტზე. ბერნჰარდი საკუთარ სხეულს აღროშებს, რათა აღნიშნოს ეროტიკული იდენტიფიკაციის ფანტაზია ვილაცასთან, ვინც ინტიმურ ოთახში იმყოფება: ეს ეროვნული ფანტაზიაა, წარმოდგენილი, როგორც სურვილის სპექტაკლი, და ფანტაზია (რომელიც აშკარად ოფიციალური ეროვნული ჩარჩოს გარეთაა) შავკანიან ქალთან მიახლოებისა, რომლის შესახებაც ავთენტურობას განასახიერებს.

ამავე პერიოდში, ისევ 1990 წელს, ახალგაზრდა ამომრჩევლების აპათიით გამოხატულ სამოქალაქო კრიზისს მადონამ უპასუხა პროსაარჩევნო რეკლამაში პერფორმანსით, სადაც იგი ბიკინიში ჩაცმული და ამერიკულ დროშაში მიმზიდველად გახვეული გამოჩნდა. ამ რეკლამაში ქერა ლამაზმანს გვერდით

ერთი შავკანიანი და ერთი თეთრკანიანი კაცი უდგას, რომლებიც ერთნაირი ნიშნებით არიან შემოსილნი, რაც აღმოსავლეთ სანაპიროს ურბანული გეი თემის სტილს განასახიერებს. ეს კაცები მადონასთან ერთად უსიამოვნო კომიკური ჰარმონიით მღერიან, „გაღი გარეთ და ხმა მიეცი“, თან პაგარა ღროშებს იქნევენ, მადონა კი დიდი ღროშის ფრიალით თავის სხეულს წარმოაჩენს.

1991 წლის 24 მარტს Chicago Tribune Magazine-მა სპარსეთის ყურის ომი მოდის ღონისძიებად წარმოაჩინა. ეს დაემატა უკვე ფართოდ გაშუქებულ მოქალაქეთა საყოველთაო სწრაფვას, რომ საკუთარი გაზის ნიღბები და სამხედრო სამოსი ჰქონოდათ, შეავსო პაგრიოტული მაისურებისა და სვიტერების - ამერიკის ღროშებითა და სლოგანებით, როგორცაა „ეს ფერები არ გაქრება“ - მოდა და სტილის ამ განყოფილებამ, სათაურით „წითელი, თეთრი და შენ“, წარმოაჩინა ფემინური მოდის ახალი მრისხანება: წითელი, თეთრი და ლურჯი. ომის მიერ წარმოქმნილი პაგრიოტული ფურორით მობილიზებული ქალები კოლექტიურად გამოხატავდნენ ფერის კომბინაციას და არა სიმბოლოს და ამგვარად, სარგებლობდნენ ღროშის უნარით, რომ პირადული პოლიტიკა ექსპლიციტური პოლემიკის გარეშე გადმოსცეს. ღროშის „ღროშობად“ გარდაქმნა მომხმარებელს ღროშის წაბილწვის ბრალდებისგანაც იცავდა იმ შემთხვევაში, თუ ის საკვებით, ოფლით ან სიგარეტის ფერფლით დაისვრებოდა.

1991 წელს RFD-მ, რურალური გეების ჟურნალმა, Radical Faeries-ისთან კავშირებით შიშველი ახალგაზრდა თეთრკანიანი კაცის სურათი გამოაქვეყნა. კაცი ამერიკის ღროშის ფონზე პედესტალზე იდგა და ერექცია ჰქონდა. ამ პორტრეტს ორი წარწერა ამშვენებდა: „დააბრუნეთ ჩვენი ბიჭები სახლში, ვითხოვთ მშვიდობას ახლავე!“ და „რა შეიძლება იყოს უფრო ამერიკული, ვიდრე ახალგაზრდა ბიჭის/კაცის სხეული?“

ეს რიტორიკული კითხვაა? მას შემდეგ, რაც ღროშის ირგვლივ აგეხილი ეს აურზაური და სხეულთან მისი შერწყმის სწრაფვა ვიხილეთ, ვასკენით, რომ ამჟამად ერი დაავადებულია Americana nervosa-თი, რიგულური სახეების გამოყენებით კომპულსური თვითშთანთქმით. ამ გროგესკული ფანტაზიის სტრუქტურამ თავი იჩინა 1988 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, რესპუბლიკელების მიერ აგეხილი პანიკით იმის თაობაზე, უნდა დაავადებულს თუ არა კანონმა მოქალაქეები, რომ „ერთგულების ფიცი“ წარმოთქვან. შემდეგ ამან მასობრივი საჯარო ბრძოლებიდან გადაინაცვლა უზენაეს სასამართლოში კონსტიტუციური ბრძოლებით, შეიძლება თუ არა ღროშა დაექვემდებაროს განადგურებას საკუთარი ფერფლის ან ნარჩენების სახით და ამან ეროვნული პაგრიოტიზმში პოლიტიკური იდენტობის საკითხიდან მისაღები საჯარო გამოხატვის, ლოიალური თვითცენზურისა და პიროვნული დისციპლინის საკითხად აქცია. ბრძოლა აღარ მიმდინარეობს იმისთვის, რომ უზრუნველყოს ეროვნული დისკურსული პროტოკოლების დაცვა, რომელიც ძირითადად განთავსებულია „სიგყვის თავისუფლების“ ზოგად არეში, ზოგიერთი სექსუალური პრაქტიკის წინააღმდეგ მიმართულ სახელმწიფო პოლიტიკებში და აშშ-ს ფოსტაში პირადი მოხმარების სექსუალური მასალის რეგულირებაში: ბრძოლა ახლა იმისთვისაც მიმდინარეობს, რომ მიიღწეს საჯარო მორჩილება ეროვნული სიმბოლოების მიმართ და აგრეთვე, ერის დამოკიდებულებებზე გენდერთან, სექსუალობასა და სიკვდილთან.

არჩევნებისა და ამერიკის რემილიგარიზაციის ფონზე ოფიციალური პაგრიოტული დისკურსი ამერიკის ღროშას ეპიდემიურ კრიზისში აგდებს და მისი საჯარო მნიშვნელობის მენჯემენტს ბრწყინვალედ წარმოებული კოლექტიური თანხმობით ცდილობს, მეორე მხრივ კი, ეროვნულობის მოხმარება 1990-იანებში მოტივირებული ჩანს არა უკვე არსებული კმაყოფილებით, არამედ კოლექტიური

სურვილით, რომ დაიბრუნონ ერი სიამოვნებისთვის: კონკრეტულად, უფლებების მოპოვების თვალწარმგაცი საჯაროობის სიამოვნება. Queer Nation-მა ახალი ეროვნულობის პროექტის კოორდინირება საკუთარ თავზე აიღო. ერთან მისი დამოკიდებულება არაერთგვაროვანი და არაერთმნიშვნელოვანია, თუმცა ის იმდენივეს იღებს ჩაგრული ხალხების მემამბოხე ნაციონალიზმებისგან, რამდენსაც - აშშ-ს რევოლუციური იდეალიზმისგან. 1990 წელს აქტივობის დაწყების შემდეგ ჯგუფმა შექმნა წინააღმდეგობის კოლექტიური ადგილობრივი რიგუალები, მასობრივი კულტურის სპექტაკლები, ორგანიზაცია და ლექსიკონიც კი, რათა მიეღწია ამ მიზნებისთვის. ის მიზნად ისახავს, ისარგებლოს ეროვნული სამოგადოების განსაზღვრის სირთულით, ვისი თანხმობაც თვითგამოხატვაზე მოდერნულ ეროვნულ იდენტობას აფუძნებს.<sup>1</sup>

Queer Nation-ის მიერ ეროვნული სექსუალობის მოურიდებელი წახალისება არა მხოლოდ იმას ავლენს, რომ მეინსტრიმული ეროვნული იდენტობა იმგვარ არაცნობიერ სექსუალობას უწევს რეკლამას, რომელიც უფრო ოფიციალურია ვიდრე სახელმწიფო ყვავილი ან ეროვნული ჩიგი, არამედ იმასაც ცხადს ხდის, თუ რამდენად სიღრმისეულად არის განსაზღვრული სხეულის ადგილობრივი გამოცდილება კანონებით, პოლიტიკებით და სოციალური ჩვეულებებით, რომლებიც სექსუალობას არეგულირებს. Queer Nation-ის შემოქმედებითი გაქტივები გვიპოლიტიკისთვის ითვისებს სამოციანი წლების მემარცხენე, ფემინისტური და სამოქალაქო უფლებების მოძრაობების კონტრკულტურული წინააღმდეგობის როგორც გრასრუთ, ასევე მასმედიურ ფორმებს - ეს მოძრაობები ამტკიცებდნენ, რომ პირადი პოლიტიკურია და ადგილობრივ და ეროვნულ პრაქტიკებს შორის კომპლექსურ კავშირს ამყარებდნენ. აგრეთვე პოსტმოდერნიზმის რეგრო-ნოსტალგიური იმპულსით Queer Nation იყენებს ამ გაქტივებს გარკვეული სახის პარტიზანულ ბრძოლებში, რომელიც სოციალური კომუნიკაციის ყველა კონკრეტულ და აბსტრაქტულ სივრცეს ასახელებს ადგილებად, სადაც „ხალხი“ ცხოვრობს და, შესაბამისად, იმ ეროვნულ გერიგორიებად, რომლებიც მზადაა გრანსგრესიისა და ლეგიტიმური ხილვადობისთვისაც.<sup>2</sup> ჯგუფის გაქტივება, გადაკვეთის საზღვრები, დაიკავოს სივრცეები და მიბადოს ნორმალურობის პრივილეგიებს - მოკლედ რომ ვთქვათ, მოახდინოს „ეროვნულის“ სიმულირება კემპური აქცენებით. პოლიტიკური იდენტობის ეს მოდელი არ ცდილობს, მიბადოს მეინსტრიმული პოლიტიკის პარტიული ყრილობების პოლემიკის მენგალობას, არამედ მომხმარებელთა ინდივიდუალურ და მასობრივ იდენტობებს: Queer Nation-მა, რომელიც ადგილობრივი სამეგობროების [affinity groups]<sup>3</sup> კრებულს წარმოადგენს, შექმნა სახე-ხატები, დაიკავა მოხმარების

<sup>1</sup> ჯერ-ჯერობით არ არსებობს Queer Nation-ის ანთოლოგია ან სრული ისტორია, ბეჭდურ მედიაში კი მისი რედეფინიციები მიმდინარეობს. Queer Nation-ის შესახებ იხილეთ შემდეგი სტატიები: Allan Berube and Jeffrey Escoffier, "Queer/Nation," *Outlook: National Lesbian and Gay Quarterly* 11 (Winter 1991): 13-15; Alexander Chee, "A Queer Nationalism," *Outlook: National Lesbian and Gay Quarterly* 11 (Winter 1991): 15-19; Esther Kaplan, "A Queer Manifesto," in Guy Trebay's article "In Your Face," *Village Voice* 14 (August 1990): 3-6; Kay Longcope, "Boston Gay Groups Vow New Militancy against Hate Crimes," *Boston Globe*, Wednesday, 21 Aug. 1990: 25, 31; Maria Maggenti, "Women as Queer Nationals," *Outlook: National Lesbian and Gay Quarterly* 11 (Winter 1991): 20-23; Deborah Schwartz, "Queers Bash Back," *Gay Community News*, Monday, 24 June 1990: 14-15; Randy Shilts, "The Queering of America," *The Advocate* 567 (1 Jan. 1991): 32-38; Guy Trebay, "In Your Face," *Village Voice*, 14 Aug. 1990, 35-39.

<sup>2</sup> Berube and Escoffier, "Queer/Nation," 13-14.

<sup>3</sup> ამ სამეგობროებს შორის არიან: ASLUT, "Artists Slaving Under Tyranny" („არტისტები გირანის მონობაში“); DORIS SQUASH, "Defending Our Rights in the Streets, Super Queers United Against Savage Heterosexuals" („ვიცავთ ჩვენს უფლებებს ქუჩებში, გაერთიანებული სუპერ ქვიარები ველური ჰეტეროსექსუალების წინააღმდეგ“); GHOST, "Grand Homosexual Organization to Stop Televangelists" („დიდი ჰომოსექსუალური ორგანიზაცია ტელევანგელისტების შესაჩერებლად“); HI MOM, "Homosexual Ideological Mobilization Against the Military" („ჰომოსექსუალური იდეოლოგიური მობილიზაცია არმიის წინააღმდეგ“); LABIA, "Lesbians and Bisexuals

საჯარო სივრცეები, როგორებიცაა ბარები და სავაჭრო ცენტრები და სავაჭრო ნიშნის კულტურას ფუნქცია შეუცვალა. Queer Nation-ი იყენებს იდენტიფიკაციის სტრუქტურებს და ეროტიკული კონტაქტის, ჩანაცვლების, საჯაროობისა და გაცვლის განსხვავებულ და განუსხვავებელ სცენებს, რაც ასეთი ცენტრალურია ნაციონალიზმისა და კაპიტალიზმის ხიზლისთვის, და ამგვარად, Queer Nation-ი ზუსტად ამერიკულ სტილში მოქმედებს.<sup>4</sup>

ამ სტაგიაში ვეცდებით, ჩავწვდეთ ქვიარ ეროვნულობის პოლიტიკურ ლოგიკას და თვალი მივაღწევთ მოძრაობის თვალსაჩინო ზრახვებსა და შედეგებს. მომდევნო სამ სექციას დაფუძნებით Queer Nation-ის ყველაზე ეფექტური ტაქტიკური სვლების აღწერას, მაგალითად, ჯგუფის მიერ მასობრივი და ეროვნული კულტურის სიმბოლური ჩარჩოების გამოყენებას იმისთვის, რომ ძირი გამოუთხაროს სტანდარტების მწარმოებელ აპარატს, რომელიც ნებისმიერი სახის სექსუალურ პრაქტიკას სექსუალური იდენტობის „ფაქტებად“ აორგანიზებს;<sup>5</sup> ან მაგალითად, ჯგუფის მიერ ცოდნების რადიკალურად ფართო სპექტრის - მეცნიერებიდან დაწყებული ჭორებით დამთავრებული - მობილიზება, რათა ხელახლა შეადგინოს ინფორმაცია ქვიარობის შესახებ და ამგვარად, აღმნიშვნელი „ქვიარის“ სპექტრი მისი მნიშვნელობების გამრავლებით გარდაქმნას.<sup>6</sup> მიუხედავად იმისა, კვლავ გააგრძელებს თუ არა Queer Nation-ი, როგორც ორგანიზაცია, არსებობას და, მაშასადამე, შესაბამისი იქნება თუ არა ჩვენს სტაგიაში გამოყენებული აწმყო დროის, ეს მოძრაობა გვამარაგებს ამ დისკურსული პოლიტიკური ტაქტიკებით, რომლებიც არა მხოლოდ ისტორიული მასალა, არამედ ერთგვარი წახალისებაცაა, რომ მოხდეს იმ პირობების რეფორმულირება, რომლითაც უნდა

---

in Action" („ლესბოსელები და ბისექსუალები მოქმედებენ“); QUEER PLANET, გარემოსდაცვითი ჯგუფი; QUEER STATE, რომელიც ხელისუფლების შტოებთან მუშაობს; QUEST, "Queers Undertaking Exquisite and Symbolic Transformation" („ქვიარები დახვეწილ და სიმბოლურ გრანსფორმაციაში“); SHOP, "Suburban Homosexual Outreach Program" („გარეუბნების ჰომოსექსუალების აუთორიტის პროგრამა“); UNITED COLORS, რომელიც ფერადკანიანი ქვიარების გამოცდილებებზე ფოკუსირდება. უფრო ვრცელი სიისთვის იხ. "Berube and Escoffier," *Queer/Nation*,"<sup>15</sup>.

<sup>4</sup> ჩვენ მიერ გამოგადობების, პოლიტიკური სისტემებისა და სიმბოლური კულტურების კონსტრუქცია შემდეგ წყაროებს ეყრდნობა: Benedict Anderson, *Imagined Communities* (London: Verso, 1983); Lauren Berlant, *The Anatomy of National Fantasy: Hawthorne, Utopia, and Everyday Life* (Chicago: University of Chicago Press, 1991); Alice Echols, *Born to be Bad: Radical Feminism in America, 1967-1975* (Minneapolis: University of Minnesota Press, 1989); Elizabeth Freeman, "Pitmarks on the History of the Country: The Epidemic of Nationalism in Hawthorne's 'Lady Eleanore's Mantle'" (unpublished manuscript, University of Chicago, 1990); George Mosse, *Nationalism and Sexuality* (Madison: University of Wisconsin Press, 1986); Linda J. Nicholson, ed., *Feminism/Postmodernism* (New York: Routledge, 1990); Iris Marion Young, "Polity and Group Difference: A Critique of the Ideal of Universal Citizenship," *Ethics* 9 (January 1989): 250-74, and *Throwing Like a Girl and Other Essays in Feminist Philosophy and Social Theory* (Bloomington: Indiana University Press, 1989).

<sup>5</sup> რეპრეზენტაციული კოდეხის მანიპულაციის საშუალებით კულტურული გამოცდილების „პოსტგემინერესობიზაციის“ პოლიტიკურ საჭიროებაზე იხ. David Lloyd, "Genet's Genealogy: European Minorities and the Ends of the Canon," in *The Nature and Context of Minority Discourse*, ed. Abdul R. JanMohamed and David Lloyd (New York: Oxford University Press, 1990), 369-93.

<sup>6</sup> ამ ესესთვის შთაგონების წყაროა შემდეგი სამი ესე, რომლებიც სექსუალური იდენტობის რეტაქსონომიზაციის საჭიროებაზე მიუთითებს: Esther Newton and Shirley Walton, "The Misunderstanding: Toward a More Precise Sexual Vocabulary," in *Pleasure and Danger*, ed. Carole Vance (Boston: Routledge, 1984), 242-50; Gayle Rubin, "Thinking Sex," in *Pleasure and Danger*, 267-314; and Eve Kosofsky Sedgwick, *Epistemology of the Closet* (Berkeley: University of California Press, 1990), 1-63.

<sup>7</sup> გორონგოს გამოცემა Xtra!-ს მიხედვით, გორონგოში ამასთან დაკავშირებით სიკვდილის ზარი ჯერ კიდევ 1991 წლის ივნისში გაისმა. ციტირებულია: "Quotelines," *Outlines* 5, no. 1 (June 1991): 7. მას შემდეგ გავიგეთ, რომ სიკვდილის შესახებ ხმები გადაჭარბებული იყო.

განხორციელდეს შემდგომი ჩარევები თანამედროვე ამერიკის იურიდიულ, პოლიტიკურ და სახალხო პრაქტიკებში.

ეს მოითხოვს აღწერის გაფართოებულ პოლიტიკას. შეიძლება ითქვას, „ეროტიკული აღწერის გაფართოებულ პოლიტიკას,“ მაგრამ იმისთვის, რომ სექსუალურად რადიკალურმა მოძრაობამ სოციალური ცვლილება განახორციელოს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სექსუალობასა და პოლიტიკას შორის კატეგორიული განსხვავებების - რაც ასევე გიპურად მოიცავს საჯარო, კერძო და პირადული საკითხების დაყოფებს - გრანსგრესიას. სოციალური სივრცეების სიმრავლე, ადგილები, სადაც ძალაუფლება და სურვილი ხორციელდება და მიმოიცილება, უნდა დანაწევრდეს და დაკონკრეტდეს. ელექტრონული ვიზუალური, ხმოვანი და ტექსტური კომუნიკაციის აბსტრაქტული, უსხეულო ქსელები, იურიდიული აქტივობის ნაციონალიზებული სისტემები და ოფიციალური საჯარო კომენტარი, პოლიტიკური სამყაროები სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე, რომლებიც სულაც არ არის უბრალოდ ეროვნული შემცირებული ვერსია: ყველაფერი ეს თანაარსებობს ადგილობრივი, ეროვნული და გლობალური კაპიტალიზმის დიად სიამოვნების მომნიჭებელ ან ფულისმკეთებელ ფორმებთან, და სოციალური ცხოვრების შემთხვევით ან ჩვეულ ინტერაქციებთან - ეს წინადადება შესაძლოა - და უნდა - გაგრძელდეს დაუსრულებლად. ამ სივრცეების აღწერა რთულია, რადგან ისინი უსამღვროა, დიალექტიკურად წარმოსახული, ზოგჯერ ხელშემწყობი და ზოგჯერ არარელევანტური სექსუალური ჰეგემონიის თეორიის, პრაქტიკისა და გრანსფორმაციისთვის. რასაც არ უნდა წარმოადგენდეს ეს სივრცეები, ამჟამად ისინი მყარად ეროვნულია. Queer Nation-ის ნაციონალისტური სტილის კემპის კონტრპოლიტიკა ითვისებს ამ დისკურსულ და ტერიტორიულ პრობლემას, რომელიც მონაცვლეობს იდენტობის, განსხვავების, გაფანტულობისა და სპეციფიკურობის უკოპიურ პოლიტიკასა და, ლიბერალური გაგებით, პლურალისტურ დღის წესრიგს შორის, რომელიც კონფლიქტის მოდელის გარეშე წარმოიდგენს განსხვავებულობის „თვალწარმტაც მოზაიკას“. ჩვენი ბოლო სექცია, „როცა შენ გარეთ ხარ, ჩვენ არაფერი ვართ“, მხარს უჭერს და განაწვრივს Queer Nation-ის მიერ არსებული კულტურული სივრცეების ალტერნატივის შექმნის მცდელობას, მაგრამ ცდილობს, კვლავ დასვას კითხვა, რამდენად ღირებულია ნაციონალიზმი გრანსგრესიისა და წინააღმდეგობის არაკონფორმული მოდელისთვის, რადგან ოფიციალური ნაციონალიზმის მანაგურალიზებულმა სტერეოტიპებმა შეიძლება, ყველაზე რადიკალურ მეამბოხეთაშიც კი შეაღწიოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის ანტიასიმილაციონისტური ნარატივი ანტიასიმილაციონისტური მოძრაობის შესახებ. თუმცა ხაზი უნდა გაუვსვდეს იმას, რომ ამერიკულ ეროვნულობასთან დისიდენტიფიკაცია ქვიარი მოქალაქეებისთვის ამჟამად თეორიულადაც კი არ განიხილება: სანამ შიღისით დაავადებულებს სახელმწიფოს მხარდაჭერა სჭირდებათ, სანამ ოფიციალური ერი თავის იდენტობას ქმნის ფსევდომემარჯვენეობით, არანორმატიული სექსუალური რეპრეზენტაციებისა და სექსუალური პრაქტიკების დევნით, ამერიკულ ლესბოსელ, გეი, ფემინისტ და ქვიარ თემებს არ აქვთ იმის ფუფუნება, რომ ეროვნული იდენტობა ყურადღების მიღმა დატოვონ. მაშასადამე, ჩვენ იძულებულნი ვართ, მოვუსმინოთ ამერიკას. როგორ შეიძლება ვაიძულოთ ოფიციალურად შედგენილი ერი, რომ ახალი პოლიტიკური ენით ალაპარაკდეს?

ბოლო დროს ოფიციალური ამერიკა ცდილობდა, დაერეგულირებინა ექსპლიციტური მიმართება ეროვნულ ძალაუფლებასა და მოწყვლად სხეულს შორის მასკულიზური სამხედრო სახეების არაირონიული საკრალიზაციითა და სხვა სუვერენულ ერთა სამღვრებში ქირურგიული შეჭრებით. Queer Nation-ი, ამისგან რადიკალური განსხვავებით, აშშ-ს სამღვრებში მყოფი რასობრივი, სექსუალური, გენდერირებული და გაღარიბებული მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული მასობრივი

<sup>8</sup> იხ. Andrew Ross, *No Respect: Intellectuals and Popular Culture* (New York: Routledge, 1989), 135-70.

ძალადობის პასუხად ქმნის თავის სახეებს. ამ ძალადობის სიმბოლოა, თუმცა ცხადია, ამით არ შემოიფარგლება, ფედერალური გამომხმარებელი შიდასე. ამ მოძრაობის მოკლე ისტორია მისი პოლიმორფული იმპულსების გენეზისის ახსნას გაგვიმარტივებს. Queer Nation-ი 1990 წლის აპრილში, ACT UP-ის ნიუ იორკის შეხვედრაზე დაფუძნდა და მიზნად დაისახა, შიდასე აქტივიზმის მიერ გამოყენებული დემოკრატიული კონგრუალიტიკა მოგადად საჯარო სექსუალური დისკურსის გრანსფორმაციისთვის განეგრცო. ლუგლას კრიმპისა და ადამ როლსტონის AIDS DEMO GRAPHICS-ი ყველაზე სრულად და გრაფიკულად ასახავს ACT UP-ის ინტერვენციის ძალაუფლებისა და საჯაროობის ადგილობრივ, სახელმწიფო და ეროვნულ სისტემებში. ძალაუფლების მეინსტრიმულ სივრცეებზე კონცენტრირება საჭირო გახდა, რადგან ფედერალური მთავრობა ბლოკავდა შიდასე მკურნალობის, მხარდაჭერისა და განათლების საკითხებს პოლიტიკური საჯარო სფეროს ინსტიტუტებში, სადაც ბიუროკრატიული ნორმა მოწყვლადი მოსახლეობის მიმართ ანგარიშვალდებულების უარყოფაა. ACT UP-ი მიიჩნევს, რომ საჭიროა პოლიტიკური ბიუროკრაციების სპეციფიკურ ფუნქციებში გარკვევა და ხმამაღალი მოთხოვნების გამოთქმა, რომ მათ თავიანთი დაპირებები მთელი „ხალხის“ მიმართ შეასრულონ. სხვა სტრატეგიებთან ერთად ჯგუფი ასევე იყენებს ეროვნულ და კომერციულ სპექტაკლებს შორის დამთხვევას რეკლამის მეთოდების მიტაცებით: პოლიტიკური არტისტების ჯგუფთან, Gran Fury-ისთან ალიანსში შეიქმნა მაღალი ღირსების პოსტერების კამპანია, რომელიც მიზნად ისახავდა, ნიუ იორკის პასიური საჯარო სივრცე პოლიტიკური პედაგოგიკის ზონად ექცია. Queer Nation-ი ACT UP-ისგან იღებს ამ კომპლექსურ გააზრებას, რომ პოლიტიკური სივრცე ფუნდამენტური მნიშვნელობისაა იმ მოთხოვნისთვის, რომ ყველა საჯარო სივრცე ნამდვილად უსაფრთხო გახდეს იქ მყოფი ყველა ადამიანისთვის, არა მხოლოდ ფსიქიკურ ლოიალობაში, არამედ ყოველდღიურ და განსხვავებულ გამოცდილებაში. ეროვნული გაგებით, დაცულობა ნიშნავს არა მხოლოდ ფიზიკური თავდასხმისგან დაცულობას, არა მხოლოდ დისკრიმინაციისგან დაცულობას, არამედ დაცულობას დემონსტრაციისთვის, პატრიოტული რიტუალის ქანში, რომელიც ყოველთვის მოიცავს აფექტის, ცოდნის, სპექტაკლის გამოყენებას და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ერთგვარ ბანალურობას, ჩვეულებრივობასა და სახალხოობას:

Queer Nation-ი თავისი აქტივიზმის საშუალებით ესწრაფვის, ხელახლა განსაზღვროს თემი - მისი უფლებები, მისი ხილვადობა - და შეიყვანოს ის ჰეტეროსექსუალურად გამოცხადებულ სოციალურ და პოლიტიკურ სივრცეში. „ქვიარებო, წაიკითხეთ ეს“ ნაციონალიზმის თანმხლებ დეკლარაციად უნდა წავიკითხოთ. ეს დეკლარაცია ამბობს: ამ კულტურაში ქვიარად ყოფნა ნიშნავს, რომ სიკვდილისთვის გაგწირეს; დააფასე ჩვენი ძალა და ჩვენი კავშირი; გააცნობიერე, რომ როდესაც ერთ-ერთი ჩვენგანი ბიანდება, ყველანი ვიგანჯებით; უნდა იცოდე, რომ უნდა ვიბრძოლოთ საკუთარი თავებისთვის, რადგან ამას სხვა არავინ იზამს. ეს დეკლარაცია ამბობს, ამიგომაც ვართ ჩვენ ქვიარების *ერი* და ამიგომაც უნდა იგრძნო თავი ამის ნაწილად. დეკლარაცია ენას სესხულობს სხვა, არანაკლებ „მუქარისმემცველი“ მოძრაობებისგან - შავკანიანთა ნაციონალიზმისა და ფემინისტური სეპარატიზმისგან.<sup>10</sup>

Queer Nation-ის პარადოქსების გასაღები ისაა, თუ როგორ *იყენებს* ის შინაგან განსხვავებას. ანუ, Queer Nation-ის გაგებით, ქვიარად ყოფნის სწორი გზა იმ მრავალგვარი სივრცეების ფუნქციაა, სადაც ის ექსპლიციტურობას ესწრაფვის. იგი ასახელებს სხვადასხვა ადგილობრივ და ეროვნულ სამოგალოებას; იგი არ ეძებს თეორიულ თანმიმდევრულობას, რათა მთელი თავისი გაქტიკა წინასწარ

<sup>9</sup> Douglas Crimp and Adam Rolston, AIDS DEMO GRAPHICS (Seattle: Bay Press, 1990).

<sup>10</sup> იხ. Kaplan, "A Queer Manifesto," 36; კაპლანის მახვილი.

დაარეგულიროს: Queer Nation-ში ნებისმიერი პოლიტიკა *ქუჩაშია* წარმოდგენილი. დაბოლოს, იგი მუდამ უარს ამბობს დამალვის ასიმილაციონისგურ სტრატეგიებზე და მიმართავს არსებობის მტკიცებას ყველაზე შეუზღუდავად და ექსპლიციტურად. ეს ხმამაღალი გამოხატვა ორი სახის საჯარო განცხადებას მოიცავს: შინაგანს, უსაფრთხო კოლექტიური ქვიარ სივრცეების შექმნისთვის და გარეგანს, კულტურულ პედაგოგიკას, რომლის სიმბოლოცაა შავკანიანთა მოძრაობის, Black Power-ის შემდგომი ეპოქის სლოგანი: „ჩვენ აქ ვართ. ჩვენ ქვიარები ვართ. მიეჩვიეთ ამას.“ თუკი სლოგანი „მე შავი ვარ და ვამაყობ ამით“ პირველი პირის პერფორმაცივს რასობრივ ხილვადობას აკერებს და მთქმელს რასობრივი ობიექტიდან აღმავალ სუბიექტად აქცევს, Queer Nation-ის სლოგანი განასახიერებს გადასვლას მდუმარე არყოფნიდან დასწრებულ მეტყველებაში, არაფრიდან კოლექტიურობაში, განსხეულების პოლიტიკიდან სივრცის პოლიტიკამდე, რომლის ძალაც სიგყვის „აქ“ ორამროვნებიდან ამოხეთქავს. მაინც სად „აქ“?

### **შიგნით: მძულს ჰეგეროსექსუალები და სხვა „ქვიარიტუალური“ ლოცვები**

ნენსი ფრეიბერი თავის ახალ ესეში, პოსტმოდერნულობასა და იდენტობის პოლიტიკაზე, ამტკიცებს, რომ კონგრკულტურული ჯგუფები დიალექტიკურ ურთიერთობაში არიან მეინსტრიმულ საჯარო კულტურასთან, მონაცვლეობენ შინაგან თვითკონსოლიდაციასა და შედარებით ესენციალისტური „შინაგანი“ იდენტობის რეინვესტირებას შორის მასობრივი საჯარო სივრცის მანორმალბებულ დისკუსიებში.<sup>11</sup> ამ დიალექტიკაში სუბალტერნი მართლაც ხდება მეტყველი მოთამაშე საკუთარ საჯარო იდენტობაში, რადგან სამოგადოება კოლექტიური ნორმების მქონე ამკარად „ლომინანტური“ სივრცეა. ფრეიბერის მოდელი არ შეესაბამება Queer Nation-ს, რომელიც არც ერთ ცალკეულ შინაგან ან კერძო ინტერესს ცნობს და არც ერთი მეინსტრიმის არსებობას ადასტურებს, რომლის პოზიციაც შეაღგენს საფუძველს კონგრპოლიტიკისთვის. Queer Nation-ის განმასხვავებელი ნიშანი - მისი უნარი, მოიცვას კულტურული წინააღმდეგობა, ოპოზიცია და სუბკულტურული კონსოლიდაცია გაქტიკების ნარევეში იდენტობის პოლიტიკიდან და პოსტმოდერნული მეგროპოლისის ინფორმაციის ნაკალებიდან - ჩვენი შინაგანი ნარაგივის წარმმართველი იქნება. ჩვენ ვიმოდრავებთ Queer Nation-ის ღონისძიებების გაფანტულ მრავალფეროვნებაში, რომელსაც ნარაგიულ ლოგიკასა და კოლექტიურ განზრახულობაში შემოაქვს ის, რაც გამომზულად არასისტემატიზებული პოლიტიკაა.

თუ ამ მრავალხმიან მოძრაობას ერთი მანიფესტი შეიძლება ჰქონდეს, რომელიც გვი გათავისუფლების პოლიტიკას და ახალი გვი ბრძოლის გაქტიკას განსაზღვრავს, ეს არის ცნობილი „მძულს ჰეგეროსექსუალები“, წერილობითი თავდასხმა, რომელიც 1990 წლის ზაფხულში ნიუ იორკისა და ჩიკაგოს გვი პრაიდებზე გავრცელდა. „მძულს ჰეგეროსექსუალები“, რომელიც აღმართული მასკულინური მუშის გამოსახულებაზეა დაბეჭდილი (ყოველ შემთხვევაში, ჩიკაგოში მაინც), არის მონოლოგი, მონის შეულამაზებული ნარაგივი, ბრამისა და ბრამის პოლიტიკის მანიფესტი. აქ ვერ ნახავთ გვი გათავისუფლების იდენტობის პოლიტიკის ნაწილისთვის დამახასიათებელ ასიმილაციონისგურ მოთმინებას; აქ ვერ ნახავთ „ჰომოსექსუალი“ სუბიექტის ასერტულ

---

<sup>11</sup> Nancy Fraser, "Rethinking the Public Sphere: A Contribution to the Critique of Actually Existing Democracy," Social Text 25/26 (1990): 56-80.

რაციონალობას, რომელიც ცდილობს ლეგიტიმურობა მოიპოვოს „ჰეტეროსექსუალური“ პროტოკოლებით იმის აღნიშვნით, რომ „ცივილიზაცია“ შემჩნეულია კულტურულ პერიფერიაზე.<sup>12</sup>

ამის ნაცვლად, „მძულს ჰეტეროსექსუალები“ „მიმდინარეობს გარდაუვალი სარგებლიანობით იმისა, რაც ძალიან საშიშია.“<sup>13</sup> ეს საშიში რაღაც არის ბრაზი და ის, თუ როგორ მიემართება ეს ბრაზი გვი სუბიექტების „შინაგან“ აუდიტორიას და „გარეგან“ ჰეტეროსექსუალურ სამყაროს. წერილი იწყება პირადული განცხადებით: „მე მყავს მეგობრები. მოგი მათგანი ჰეტეროსექსუალია. წლებია, ვხვდები ხოლმე ჩემს ჰეტეროსექსუალ მეგობრებს. მინდა მათი ნახვა, მინდა, ვნახო, როგორ არიან... [და] წლებია უკვე, რაც ვიპოვებ, რომ ჩემი ცხოვრების ფაქტები მათთვის არარელევანტურია და რომ მხოლოდ ცალი ყურით მისმენენ.“ აქ სათქმელი დაიგნორებული რჩება, რადგან ჰეტეროსექსუალებს არ სურთ, დაიჯერონ, რომ გვებს ჩამორთმეული აქვთ პრივილეგია, ჩამორთმეული აქვთ ის პერსპექტივა, რომელსაც ამერიკული სოციალური ინსტიტუტები და სახალხო კულტურის პრაქტიკები უზრუნველყოფს: „ინსაიდერები აცხადებენ, რომ [გვები] უკვე“ ჩართული არიან ჰეტეროსექსუალური სამყაროს პრივილეგიებში. მაგრამ გვი სუბიექტები გამორიცხული არიან იმ პრივილეგიებისგან, რაც დაკავშირებულია რეპროდუქციასთან, ოჯახსა და საჯარო ფანჯამიასთან, რომელიც ამ ინსტიტუტების მეშვეობით ცირკულირებს: მეტიც, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მხოლოდ გვების საჯარო დისციპლინირება აკავებს ცივილიზაციას, რომ პირველყოფილ უჯრედად არ რეგრესირდეს.

ოჯახური სივრცისა და პრივილეგიის აროგანტული ჰეტეროსექსუალური მოაზრებით გამოწვეულ გარიყვას მთქმელი უპირისპირებს განაცხადებს, რომელიც იწყება ფრაზით „მძულს ჰეტეროსექსუალები“: „მძულს ჰეტეროსექსუალები იმ გვი აღამიანების გამო, რომლებმაც ემოციურად უნდა „იბრუნონ“ მათზე, როცა ისინი საკუთარი პრივილეგიის გამო თავს დამნაშავედ გრძნობენ“; „მძულს ჰეტეროსექსუალები, რადგან ისინი თავიანთი კეთილგანწყობილი გოლერანგობის სანაცვლოდ გვების ბრაზის დაოკებას ითხოვენ.“ „ტკბილი ენით მეტს მიაღწევ,“ ეუბნებიან მთქმელს; „აბა ახლა ვინ ამოგადებს,“ ამბობენ ისინი, თითქოს უმცირესობაში მოხვედრილმა ჯგუფმა თვითონ მოიგონა ის „უხეში ტაქსონომია“, რომლის პირობებშიც იბრძვის.<sup>14</sup> ამას ფლაერი შემდეგნაირად პასუხობს: „შენც დაარტყი... მიეცი თავს უფლება, იყო გაბრაზებული... რადგან ამ ქვეყანაში არ მოიძებნება ადგილი, სადაც ჩვენ უსაფრთხოდ ვართ.“

მთქმელის მიერ „ქვეყნის“, როგორც საფრთხის შემცველი სივრცის აღნიშვნა, კომპლექსურად მონიშნავს იმ სოციალური იდენტობის ინდიკატორებს, რომელშიც ეს ბრაზი გრიალებს. პირველი პირი აქ ორ ჯგუფს აღნიშნავს: გვი და ამერიკელ სუბიექტებს, რომელთაც უწევთ „მალლობა გადაუხადონ პრემიდენტ ბუმს ხის დარგვისთვის“ საჯარო სივრცეში, მაშინ როცა ათასობით შიდასით დაავადებული აღამიანი ილუპება პოლიტიკური ხილვადობის ნაკლებობის გამო. აქ ბუმისა და ხის ერი ხდება იმგვარი მოცემულობა, რომელიც ბოროტგანმზრახველად უგულებელყოფს შიდასით დაავადებულ მოსახლეობას, და განსაკუთრებით, გვი კაცებს. ჰეტეროსექსუალები გვი თემისგან თვითცნებურას ითხოვენ, რადგან

<sup>12</sup> იდენტობა გერიტორიალიზაციას უკავშირდება, როგორც გეოგრაფიულს, ასევე იდეოლოგიურს. ჩვენ გვინდა შემოგთავაზოთ სუბკულტურული *გოპოლოგიის* ხედვა, აღწერა იმისა, თუ როგორ მოითხოვს თანამედროვე სივრცე განთავსებულ იდენტობებსა და მობილიზებულ *იდენტიფიკაციებს* შორის კონსენსუსის მიღწევას. ფრაზა გვი *თემის* მნიშვნელობის ცვალებადობა ბრწყინვალედ არის განმარტებული შემდეგ სტაგიაში: Richard Herrell's "Symbolic Strategies of Chicago's Gay and Lesbian Pride Day Parade," in Gilbert Herdt, ed., *The Culture of Gay Men* (forthcoming)

<sup>13</sup> Gayatri Chakravorty Spivak, "In a Word. Interview," *Differences* 1 (Summer 1989): 129.

<sup>14</sup> იხ. Sedgwick, *Epistemology of the Closet*, 1-63.



ბრაზი არ არის „პროლექტიული“. ამასობაში ჰეგეროსექსუალი ამერიკის ადმინისტრატორები პოლიტიკებს იმგვარად აგებენ, რომ განამტკიცონ, ჯანსაღი ჰეგეროსექსუალური იდენტობა (ჰეგეროსექსუალი და ჯანმრთელი სხეული) ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეობის წინაპირობაა. გრაქტაგი გრძელდება იმის აღნიშვნით, რომ ეროვნული მარცხი, უზრუნველყოფილი იქნას სამართლიანობა ყველა მოქალაქისთვის, განიცდება ადგილობრივად, საჯარო სივრცეებში, სადაც გეებზე ფიზიკური თავდასხმა ხდება და უფრო ინგიმურ გერიგორიებზეც კი, როგორცაა სხეული: „უთხარი [ჰეგეროსექსუალეს], რომ აღარ მოვიდნენ შენთან, სანამ საჯარო სივრცეში ერთი თვე ხელიხელჩაკიდებული არ ივლიან თავიანთივე სქესის წარმომადგენელთან. ამას რომ გადაიტანენ, მერე ვნახავთ, რაც ექნებათ სათქმელი ქვიარების ბრაზზე. თუ ეს არ სურთ, მაშინ მოკეცონ და გვისმინონ.“

ამ ლოკუმენტის გავრცელება გვიპრაიდებზე, უპირატესად გვი თემის წარმომადგენლებში, თვალსაჩინოს ხდის Queer Nation-ის ფუნდამენტურ პოლიტიკას. *ხილვადობა* გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ამერიკელი გეებისთვის უსაფრთხო საჯარო არსებობის მიღწევის გზაზე, ვისთვისაც თანამედროვე ერს პოზიტიური პოლიტიკური ღირებულება არ გააჩნია. ქალაქებში, სადაც Queer Nation-ი ცხოვრობს, უკვე არის ადგილობრივი გვი თემები, სივრცეები, რომლებიც კაპიტალური და სექსუალური დანახარჯების უსაფრთხო განსხეულების საშუალებას იძლევა. Queer Nation-ისთვის ესენი იმ სივრცეებსაც შეადგენს, რომელშიც პოლიტიკური ბაზები უნდა დაფუძნდეს. საბოლოოდ, უსაფრთხო სივრცეებზე ეს აქცენტი, რომელიც სხეულებისთვის კაპიტალით და ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკებით არის მოპოვებული, შეადგენს ეროვნული დისკურსის მიერ სექსუალობის საკითხის ჩარჩოში მოქცევი პირობების უარყოფას: „ქვიარობა არ ნიშნავს უფლებას პირად სივრცეზე; ის ითხოვს თავისუფლებას, რომ იყოს საჯარო... ქვიარობა არ ნიშნავს მინისტრიმულობას, მოგებას, პაგრიოციმზს, პაგრიარქაქალურობას ან ასიმილირებას... ქვიარობა 'გრასრუთია', რადგან ჩვენ ვიცით, რომ ყველა ჩვენგანი, ყველა სხეული, ყველა მუტელი, ყველა გული, გრაკი და ყლე სიამოვნების სამყაროა, რომელიც გამოკვლევას ელოდება. ყველა ჩვენგანი უსასრულო შესაძლებლობების სამყაროა.“ ადგილობრივობა, რომელიც აქ „სამყარობის“ ენაშია გადაგანილი, სენტემენტალურად და ეროტიკულად მოჭარბებული სექსუალობის ენერჯისგან ახალი პოლიტიკის შექმნისკენ მიემართება. სექსუალური გეოგრაფიის ეს ორამროვნება ფუნდამენტური მნიშვნელობისაა ახალი რეფერენცის, ახალი გვი თემის წარმოქმნისთვის, რომლის ეროტიკა და პოლიტიკა გრანსფორმაციულია. ამასობაში, ჰიბრიდულ ქვიარ/ამერიკელ ერში, პოლიტიკური აგენტობის ორთოლოქსული ფორმები შეცვლილი ფორმით კვლავ ინარჩუნებს ძალას: მაგალითად, Queer Nation აცხადებს, „შეყვარებულების არმია ვერ დამარცხდება!“ მაგრამ ეს სამხედრო ფანტაზია ირონიულად მიემართება რამდენიმე რამეს: კონგრძალალობის შემთხვევებს ადგილობრივად, 1960-იანი წლების მოძრაობებს, რომლებიც ითხოვდნენ სიყვარულს და უარყოფდნენ ომს და, აგრეთვე, რეიგანი/ბუშის მმართველობის წლებში აშშ-ს არმიაში ქვიარების გაძლიერებულ შევიწროებას.

მაშასადამე, თვითგამოცხადებული „ქვიარიტუალური“ ელემენტი Queer Nation-ის ზოგიერთ პროლექტში სცდება სეკულარულ ამერიკულ პროტოკოლებს, როგორც იმ წერილებში, რომლებშიც „ფიციავ, ვუერთგულე ღროშას“ ნაცვლად „ვადიღებ ღმერთს ჩემი ვულვათი“ და „ვადიღებ ღმერთს ჩემი ერექციით“ წერია.<sup>15</sup> შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ქვიარიტუალიზმი რეაქციონერულია და

<sup>15</sup> სრულად ვციტირებთ აღნიშნულ ტექსტებს. „ვადიღებ სიცოცხლეს“: „ვადიღებ ღმერთს ჩემი ვულვათი. მაღლობას ვუხდი ღმერთებს ყველა იმ ქალისთვის, ვისაც ჩემი გუჩებისთვის უკონია. ვადიღებ სიცოცხლეს.“

ბეპოლიტიკური სულიერი იდენტობისკენ სვლას ასახავს, მაგრამ ისიც შეიძლება ითქვას, რომ ეს უბრალოდ კონსერვატიულია, მცდელობა, შემოინახოს სივრცე იმედის, ლოცვის და უბრალო ადამიანური ურთიერთობებისთვის - მაგალითად, Queer Nation-ის ძილისპირული ლოცვა. ეს რელიგიური რიგუალები აჩვენებს, რომ მლოცველები თავს ილბლიანად გრძნობენ, რომ თავისი სქესის წარმომადგენელთან ერთად სძინავთ და ასე წაახალისებენ ჰომოსექსუალობას იმ ფორმით, როგორც ეს Queer Nation-ს უნდა, როგორც ჩვეულებრივი იდენტიფიკაციისა და სიამოვნების ფორმას. მაგრამ ეს ლოცვები ასევე წარმოადგენს ნორმატიული ლოცვის ნარატიული კონვენციის პაროდიას უსაფრთხო სივრცის ძიებაში, რომელიც საჯარო სექსუალობის ოფიციალურ და კონვენციურ ცენზურას დაუსხლტება: ჟურნალი Thing წერს, რომ ფლაერი გააკრიტიკეს, რადგან ის თითქოს პრომისკუიტეცს უჭერდა მხარს.<sup>16</sup> ჩვენი აზრით, ეს ლოცვები უპირისპირდება იმ გეი და ჰეგეროსექსუალი სამოგადოებების ეროტოფობიას, რომლებსაც „ცხოვრების სტილზე“ სურთ საუბარი და არა სექსზე. და ბოლოს, ამ წერილის ქანრი ავლენს, რომ გეი და ჰეგეროსექსუალი მოსახლეობები გოპოგრაფიულად კვეთენ ერთმანეთს, ბუსტად ასევე, ამ ლოცვის გამოყენება თავისთავად ადასტურებს გეი და ჰეგეროსექსუალ სუბიექტებს შორის მოცულობითი აფექტური საზღვრების გაღების უსარგებლობას. Queer Nation-ის ფოკუსი საჯარო ენასა და მედიამზე, მის მიერ ადგილობრივ განსხვავებასა და მასობრივ აბსტრაქციას შორის არსებული დაძაბულობის გამოყენება, ამგვარი გაქსონომიური სიციხადის საშუალებას აღარ იძლევა.

### **გარეთ: მოურიღებელი პოლიტიკა**

1967 წლის 23 თებერვალს, კონგრესის სხდომაზე, რომელიც თავდაცვის დეპარტამენტში გეი კაცების მსახურების უსაფრთხოების საკითხს შეეხებოდა, ფსიქიატრმა, ლოქტორმა ჩარლზ სოკარიდისმა, განაცხადა, რომ ჰომოსექსუალმა „არ იცის თავისი სხეულის საზღვარი. მან არ იცის, სად მთავრდება მისი სხეული და სად იწყება სივრცე.“<sup>17</sup> შესაბამისად, შინაგანი კონსოლიდაციის სულიერი და სხვა მომენტები, რომლებიც ჩვენ აღვწერეთ, Queer Nation-ის წარმომადგენლებს საშუალებას აძლევს, რომ ხილვად ქვიარ ბარათებად იქცნენ კულტურული პედაგოგიკის მიმდინარე პროექტში, რომელიც მიზნად ისახავს, რომ გამოააშკაროს იმ შემოსაზღვრული სივრცეების სპექტრი და სხვადასხვაობა, რომელზეც ჰეგეროსექსუალთა აღმაგებულებაა დამოკიდებული. Queer Nation-ი გარეთ გამოდის იმ ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად უსაფრთხო სივრცეებიდან, რომელსაც ის ქმნის და გვაუწყებს საჯარო სივრცის ჰეგეროსექსუალურობის - და შესაბამისად, გეებისთვის არსებული ექსპლიციტური ან იმპლიციტური საფრთხის - შესახებ. ქვიარ სხეული - როგორც საჯაროობის აგენტი, როგორც თავდაცვის ერთეული და აგრეთვე, როგორც ექსტაზის სპექტაკლი - ხდება ის ლოკუსი, სადაც იწერება მეინსტრიმული კულტურის მიერ გეი მოქალაქეების დისციპლინირება და სადაც ამ დისციპლინირებით გამოწვეული ტკივილი ბრამად და სიამოვნებად გრანსფორმირდება. მუქარისა და მხიარულების სტრაგეგიების მონაცვლეობით, Queer Nation-ის აგენტები მოდიან, რათა დაიპყრონ ის სივრცეები, სადაც გეებისა და ლესბოსელების მიმართ ძალადობის საფრთხე არსებობს და მოახდინონ მათი რეგერიტორიალიზაცია.

„ვალიდებ ღმერთს“: „ვალიდებ ღმერთს ჩემი ერეკციით. მაღლობას ვუხდი ღმერთს ყველა იმ კაცისთვის, ვისაც ჩემთან ეძინა. ვალიდებ ღმერთს.“ ეს ტექსტების Queer Nation დენვერის წევრმა ჯო ლინდსიმ 1990 წელს შექმნა.

<sup>16</sup> Robert Ford, "Sacred Sex: Art Erects Controversy," *Thing 4* (Spring 1991): 4.

<sup>17</sup> John D'Emilio, *Sexual Politics, Sexual Communities* (Chicago: University of Chicago Press, 1983), 216.

დოქტორი სოკარიდისის დიდების ხანმოკლე წუთიდან ოცდასამი წლის შემდეგ, ეროვნული თავდაცვის შესახებ მისი შიშის გრაფიკული ინტერპრეტაცია ნიუ იორკელებმა მკერდზე გამოისახეს. მაისურზე, რომელიც მათ ეცვათ, გამოსახულია აშშ-ს სილუეტი, სადაც აღმოსავლეთ სანაპირო წითელ ფერშია წარმოდგენილი, დასავლეთ სანაპირო ლურჯ ფერში და შუაში ეს ფერები ფერმკრთალდება და ერთდება. უეცრად, ქვეყნის შუაგული „ქვიარის“ გასაოცარი ახალი ელფერია: წითელი, თეთრი და ლურჯი იასამნისფერს წარმოქმნის. Queer Nation-ის ეს პირველი მაისური აგრძელებს ადამ როლსტონის ნამუშევრის პროექტს - პოსტერის, რომელზეც ეწერა, „მე გარეთ ვარ, მაშასადამე ვარსებობ.“ მაგრამ Queer Nation-ის მაისური მონიშნავს იმ საჯარო სივრცეს, სადაც ინდივიდუალური კარტეზიანული სუბიექტი გარეთ უნდა იყოს და გარდაქმნას ეს სივრცე, რათა გადარჩეს. Queer Nation-ის ღიზინი ადგენს ფსიქიკურ და სხეულებრივ ტერიტორიას - იასამნისფერ ტერიტორიას - რომელიც არ ექვემდებარება კოლონიზაციას და აფართოებს მას იმგვარად, რომ პოტენციურად მთელი ერი მოიცავს. ქვეყნისა და სხეულის ამგვარი შერწყმა ინდივიდუალურ და ეროვნულ გათავისუფლებას ერთმანეთთან აკავშირებს: სწორედ ისე, როგორც დოქტორი სოკარიდისი შიშობდა, ინდივიდუალურ და ეროვნულ სივრცეებს შორის საზღვრები იკარგება. „ეროვნული თავდაცვა“ და „ჰეტეროსექსუალური თავდაცვა“ საზღვრის შენარჩუნების ურთიერთდამოკიდებული პროექტები ხდება, რასაც Queer Nation-ი გრაფიკულად გამოხატავს, და აჩვენებს, რომ ეს ფერები კვლავაც იქნება.

Queer Nation-ი ბინძური თეთრეულის გამოყენით მიემართება „ცხოვრების სტილის გავრცელების“ ჰეტეროსექსისტურ შიშებს, როცა ასაჯაროებს ამ მაისურის ჩამცმელს, როგორც გვი თემის წარმომადგენელს და როგორც მისიონერს, რომელიც ჰომოსექსუალობის გავრცელებას ემსახურება, მაგრამ ყველა მათი ტაქტიკა ასეთი რბილი არ არის. ოპტიმისტური მტკიცება, რომ შეყვარებულების არმია ვერ დამარცხდება, ნიღბავს იმ სერიოზულობას, რომლითაც Queer Nation-ი მოეკიდა, Guardian Angels-ის მსგავსად, ფსევდო-მილიციის შექმნის საჭიროებას. Pink Panthers-მა, რომელიც თავდაპირველად Queer Nation-ის ერთ-ერთ შეხვედრაზე ჩაისახა (ახლა ეს ცალკე ორგანიზაციაა), მხურვალედ უპასუხა მომაგებულ ძალადობას, რაც ამერიკაში გვი ხილვადობის ზოგად ბრდას ახლავს. „პანტერები“, ფეხმავალი პატრული, რომელიც პირველ სექციაში აღწერილ „უსაფრთხო სივრცეებში“ და ამერიკული საჯარო ცხოვრების „საფრთხისშემცველ სივრცეებში“ იმყოფება, არა მხოლოდ ქვიარ სხეულებს იცავს, არამედ მათი არსებობის განგრძობითი შემახსენებლის როლსაც ასრულებს. „პანტერებს“ შავი მაისურები აცვიათ, რომლებზეც ვარდისფერი სამკუთხედებია გამოსახული შიგ მოქცეული შავი თათის პრინტით, ისინი ჯგუფებად მოძრაობენ შეიარაღების გარეშე და ერთმანეთს რაციებით და სასტვენებით უკავშირდებიან. ამ უნიფორმის არჩევით, რომელიც მათ ექსპლიციტურად მონიშნავს, როგორც სამიზნეებს, როგორც შავკანიანთა Black Power მოძრაობის მემკვიდრეებს, და როგორც ნახევრად სერიოზულ და ნახევრად კომიკურ დეგექტივებს, „პანტერები“ აერთიანებენ იმ აბსტრაქტულ მუქარას, რომელიც იმპლიციტურადაა მოცემული ზემოთ აღწერილ რუკის გამოსახულებაში, განსხეულებულ მუქარას, რომელიც იმპლიციტურია ინდივიდუალური ქვიარების მოქმედებებში, როდესაც ისინი თავიანთი სუბკულტურის საზღვრებს კვეთენ და იმ აბსურდულობას, რომელიც სექსუალური ძალადობის ამ პირობას აფუძნებს.

„პანტერების“ სლოგანია „შენც დაარცვი“. ის აცხადებს, რომ გვების ჩავგრის ლოკუსმა ლეგალურიდან ექსტრალეგალურ არენაზე და ეროვნულ-სამართლებრივიდან ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ფორმებში გადაინაცვლა. მუქარა „შენც დაარცვი“ პასუხობს ფიზიკური ძალადობის მუქარას, რომელიც გვებსა

<sup>18</sup> John D'Emilio, "Capitalism and Gay Identity," in *The Powers of Desire*, ed. Ann Snitow, Christine Stansell, and Sharon Thompson (New York: Monthly Review Press, 1983), 108.

და ლესბოსელებს უჩინარს ხდის ან/და მათ ფიზიკურ სივრცეს მათი მითიურად უსაფრთხო საცხოვრებელი უბნებით შემოსაზღვრავს. მაგრამ „პანტერები“ კონკრეტულ მოძალადეებს არ ეშუქებიან და არც შემთხვევით შემხვედრ ჰეტეროსექსუალებს ესხმიან თავს, ისინი თავდაცვის ტექნიკებში ვარჯიშობენ და იარაღის გარეშე გადაადგილდებიან: „შენც დაარკვი“ უბრალოდ მიზნად ისახავს იმ მუქარის მობილიზაციას, რომელსაც მოძალადეები ასე ეფექტურად იყენებენ - მათი ძალა არ არის რაოდენობაში, არამედ რამდენიმე სხეულის მოცემულობაში, რომლებიც ფართომასშტაბიანი ძალადობის პოტენციალს ქმნიან - და მის გამოყენებას თვით მოძალადეების წინააღმდეგ. ამგვარად, ეს სლოგანი Pink Panthers-ის წევრთა სხეულებს ფსიქოლოგიურ კონგრუენტურად აქცევს და მათი დამცავი ფარი მათ ფიზიკურ ძალას სცდება. „პანტერების“ უნიფორმიანი სხეულები ყველაზე დამაჯერებელ დარგემას ალბათ მეხსიერებაზე ახორციელებს. მათი თვალშიმოსახვედრობა უპირისპირდება ჰეტეროსექსუალური კულტურის მისწრაფებას, რომ არ აღიაროს სექსუალურად წმინდა გარემოში ბაგონობის საკუთარი ინტენსიური საჭიროება.

ბრაზიანი „შენც დაარკვი“ განსხეულებულ და აშკარა ძალადობას პასუხობს. Queer Nation-ის „ქვიარ ღამეები“ კი ჰეტეროსექსუალური სოციალური ცხოვრების გაცვეთილი ფორმების მიბაძვით მიემართება სექსუალური კონვენციურობის უფრო გაფანტულ და ფარულ ძალადობას. „ქვიარ ღამეები“ რადიკალური დესეგრეგაციის მომენტებია, რასაც ფესვები სამოქალაქო უფლებების ერაში, ლანჩის sit-in-ებში აქვს; სამოციანების sit-in-ები ლეგალურ სეგრეგაციას მიემართებოდა, ეს ქვიარ თავდასხმები კი მომხმარებლის სეგრეგაციას უპირისპირდება. მაგალითად, ჰეტეროსექსუალურ ბარებში შეჭრით ისინი ახორციელებენ სენტიმენტალურობასა და სიამოვნებას, რომელიც ქვიარ სხეულის ჩვეულებრივობას გადასცემს. ბანალურობა მოვლენისა, როცა ბარში ოცდახუთი ერთნაირსქესიანი წყვილი ერთმანეთს კოცნის, სასაცილო მოვლენა, როცა გეების ჯგუფი ბოთლის დაგრივს თამაშობს, შლის იმ დისგანციას, რაც არსებითია იმ ჩვეულებრივი სიამოვნებებისთვის, რასაც ჰეტეროსექსუალი საზოგადოება გვიმყაროში იღებს. „ქვიარ ღამეები“ არც ინფორმაციულია და არც განსაკუთრებულად სანახაობრივი, მაგრამ ის ჰეტეროსექსუალურ კულტურას ორ სახიფათო სიმართლეს ამცნობს: (1) გვი სექსუალური იდენტობა აღარ არის ჰეტეროსექსუალობისთვის საიმედო შეპირისპირება; და (2) ის, რაც შემოსაზღვრულ გვი სუბკულტურულ აქტივობად მოჩანდა, გახდა უფრო მშფოთვარე და იმპროვიზაციული და თავისი სიამოვნებები შენ ცხვირწინ გადმოიგანა.

გარდა ამისა, „ქვიარ ღამეებმა“ მითთვისა მოულოდნელი თავდასხმის მოდელი, რომელსაც გრადიციულად პოლიცია იყენებდა, რათა გეებისა და ლესბოსელებისთვის ეჩვენებინა, რომ მათი სუბკულტურული სივრცეების არსებობაც კი ჰეტეროსექსუალების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ქვიარები იმის დემონსტრირებას ახდენენ, რომ ჰეტეროსექსუალური სივრცეების შემოსაზღვრულობაც გეების (მათთვის თავსმოხვეულ) ნებაზეა დამოკიდებული, რომ დარჩნენ უჩინრები და ექსპლიციტონიზმის ამგვარი გამოყენებით საჯარო სივრცეს გამოუცდელი ჰეტეროსექსუალობისთვის ფსიქოლოგიურად საშიშს ხდიან. ველზე ერთ-ერთი დაკვირვებიდან ვიცით, რომ ორმა ლესბოსელმა ჰეტეროსექსუალ ქალს ხამანწკა გაუგზავნა და ეს „ლესბოსური აპეგაიზერი“ ფასდაკლების საათების მენიუს დაუმატა. ქალს ეს არ მოეწონა.<sup>19</sup> უხერხულობა წარმოიშვა - სწორედ ის უხერხულობა, რომელსაც ლიბერალები განიცდიან, როცა გოლერანგობის ობიექტისთვის გამოყოფილი სფერო სცდება იმ საზღვრებს, „რაზეც ყველა ვთანხმდებით.“ ამგვარი მანევრები ავლენს, რომ ჰეტეროსექსუალური შეწყვილების მეთოდები, რომელიც მიჩნეულია, როგორც „აბსოლუტურად ჰეტ-ი“, სიამოვნების ყველა სახისთვის ღია სექსუალური ცდუნების მეთოდებია: „ბოლიში, ლესბოსელი

<sup>19</sup> Trebay, "In Your Face," 36.

მეგონე.<sup>20</sup> „პიროვნული სივრცის“ ეს პოლიტიკური გრანსგრესია მის მიერვე პროვოცირებული ძალადობის ასაცილებლად კი შეიძლება იყოს გამოყენებული. Queer Nation-ის გეი ბიჭი, რომელსაც მტრულად განწყობილი მთვრალი დაუპირისპირდა, ოთახში მყოფებს მიმართავს: „ჰო, წუხელ ამასთან ვიყავი და საშინელება იყო.“

ამ ეროტიკული გაცვლის სივრცეში, შეყვარებულების არმია თავის საომარ სტრატეგიებად სექსუალურ გამოხატვებს ირჩევს.<sup>21</sup> გენიტალიები არა მხოლოდ ეროტიკული მალღიერების გამოხატვის ორგანოები ხდება, არამედ მათივე ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართული სიამოვნების იარაღები. ამგვარი მილიტანტურ-ეროტიკული ინტერვენციები ყველაზე საჯარო ფორმას Queer Nation-ის kiss-in-ში იძენს, სადაც ოფიციალური ადგილი, როგორცაა ქალაქის მოედანი, არაოფიციალური გართობით იელნითება: უხერხულობა, სიამოვნება, სპექტაკლი, ლტოლვა და ბრალდება არტიკულირებენ ერთმანეთში, რომ წარმოქმნან საჯარო სკანდალი, რაც, როგორც მომღეწო სექცია გვაჩვენებს, Queer Nation-ის სპეციალობაა.

### ჰიპერსივრცე: „Try Me On, I'm Very You“<sup>22</sup>

თავის ყველაზე პოსტმოდერნულ მომენტებში, Queer Nation-ი მიმართავს კორპორატიულ სტრატეგიას, რათა გამოიყენოს ფსიქოლოგიური შეუზღუდაობა მომხმარებლებისა, რომლებიც თავიანთ სურვილებს პროლუქტების მეშვეობით გამოხატავენ, აწარმოებენ და იკმაყოფილებენ. Queer Nation-ი ტაქტიკურად იყენებს კორპორატიული სავაჭრო ნიშნის, მეგროპოლისური ადლუმის, სავაჭრო ცენტრის, ბეჭდური მედიის, და ბოლოს, რეკლამების მიერ შექმნილ ჰიპერსივრცეებს, რათა ამოიციოს და ისარგებლოს მომხმარებლის მიერ განცდილი მეორადი იდენტიფიკაციის სიამოვნებით. ამ ფორმით ჯგუფი ეუფლება გამტარ ტერიტორიებს, აშკარად აპოლიტიკურ სივრცეებს, რომლებშიც საზოგადოება გრიალებს და სხეულების, პროლუქტების, იდენტობებისა და ინფორმაციის სიამოვნების მომნიჭებელ, თანხმობაზე დაფუძნებულ გაცვლებს ახორციელებს. თუმცა, ის უარს ამბობს შემრიგებლურ ფორმაზე, როგორცაა მაგალითად, კირკის და მედსენის გეგმა, რომ ჰეტეროსექსუალურ კულტურას „პოზიტიური“ (წაიკითხეთ „ასატანი“) გეი სახეები მიჰყიდონ.<sup>23</sup> ამის ნაცვლად, მას ქვიარ სხეულის „სკანდალურობა“ სააშკარაოზე გამოაქვს. Queer Nation-ის კორპორატიული სტრატეგია - გამოავლინოს მომხმარებლის ის სურვილები, რომელთა შესახებაც მან თავადაც არ იცოდა და პროლუქტ „ჰომოსექსუალობასთან“ მომხმარებლის იდენტიფიკაცია ერთდროულად შემაშფოთებელ და სასიამოვნო გამოცდილებად აქციოს - მომხმარებლის სიამოვნებას საჯარო კულტურის გრანსფორმაციისთვის ცენტრალურ მოვლენად აქცევს და შესაბამისად, საქონლის უცოპიურ დაპირებებს ერთან აკავშირებს.

<sup>20</sup> „აბსოლუტურად ჰეტ-ის“ სერია, რომელიც არაფი Absolut-ის რეკლამების პაროდის წარმოადგენს, ანონიმურმა ჯგუფმა OUTPOST-მა გამოუშვა.

<sup>21</sup> Trebay, "In Your Face," 39.

<sup>22</sup> Deee-Lite-ის სიმღერიდან, "Try Me on, I'm Very You", ალბომზე *World Clique*. Elektra Entertainment, 1990.

<sup>23</sup> Marshall Kirk and Hunter Madsen, *After the Ball: How America Will Conquer its Fear and Hatred of Gays in the '90s* (New York: Doubleday, 1989). კირკი და მედსენი გეი თემს ურჩევენ, ჰეტეროსექსუალურ კულტურას ჰომოსექსუალობის უსაფრთხო სახეები წარუდგინონ, „მარკეტინგულ კამპანიას“, რომელიც მეინსტრიმის მიერ ბურჟუა ჰომოსექსუალის მიღებაზე ორიენტირებული, ღრეგ ქვინების, ბუჩი ლესბოსელების, გრანსსექსუალების და სხვების ხილვადობიდან ჩამოშორების ხარჯზე.

ერთი განსაკუთრებით ცნობილი სახე მონაცვლეობს ადგილობრივ/განსხეულებულ და კორპორატიულ/აბსტრაქტულ სექსუალურ იდენტიფიკაციებს შორის: Queer Nation-ის მიერ 1990 წლის ზაფხულში გამოშვებულ მაისურზე „ქვიარი ბარგია“ გამოსახული. ქვიარი ბარგი არის ნიუ იორკელი გეი კლონი მეთ გრენინგის ჭირვეული თეთრკანიანი გარეუბნელი „ნებისმიერი ბაფშის“, ბარგ სიმპსონის სახისა: მას უკეთია საყურე, ვარდისფერი სამკუთხედის სამკერდე ნიშანი და Queer Nation-ის მაისური აცვია. მისი პირიდან ამოსულ ბუშგზე იკითხება: „მიეჩვიე ამას, ბიჭო!“ როგორც ყველა სხეული, ქვიარი ბარგის სხეულიც რამდენიმე ფუნქციას ასრულებს. პირველ რიგში, იგი წარმოადგენს კონტრგექსტს გარეუბნური ამერიკის განზოგადებული სხეულის ამკარა უწყინრობისთვის: Queer Nation-ის ბარგი იმპლიციურად მიუთითებს კიდეც ერთ არალიცენზირებულ მაისურზე, რომელზეც ბარგი იღრინება: „მომორდი აქედან, პილარასგო!“ და ჰეგეროსექსუალობაზე, რომელიც „ნორმალური ბარგის“ განზოგადებულ იდენტობაში იგულისხმება. მეორე ფუნქცია ისაა, რომ ორიგინალი ბარგის „კლონი“, რომელიც „გამორჩეულ“ იდენტობას მოიცავს - შავკანიანი ბარგი, ლათინო ბარგი და ა.შ. - არა მხოლოდ იმ შესაძლებლობას ქმნის, რომ სუბკულტურებმა თავიანთი წევრებისთვის კულტურული ინსაიდერობა განავითარონ, არამედ, გარდა ამისა, სუბკულტურულ იდენტობას მეინსტრიმულ სტილშიც გადაწერს. ბარგ სიმპსონის თავშესაქცევი წარმოდგენა ქვიარად მიანიშნებს სხეულზე აღნიშნული, ოფიციალური ნორმატიული იდენტობის მიღების სიამოვნებაზე მათთვის, ვისაც ღომინანტური კულტურა მუდამ განსხვავებულად წარმოადგენს.

Queer Nation-ის მიერ ბარგის სხეულის ხელახალი განსხეულება - სწორედ იმიტომ, რომ ეს სხეულია, მარტივად ექვემდებარება პოლიმორფული პერვერტული იდენტობების ნებისმიერ რაოდენობას - გრაფიკულად ასახავს, რომ საქონელი არის ის ცენტრალური საშუალება, რომლის გამოყენებითაც ინდივიდები საჯარო სურვილის კოლექტიური გამოცდილებით სარგებლობენ. ქვიარი ბარგი, რომელიც თავისთავად სავაჭრო ნიშანია, განზოგადებული სხეულია, Queer Nation-ის სავაჭრო ნიშნის ესთეტიკით აღბეჭდილი, რაც შემდგომში უკვე მომხმარებელს აძლევს საშუალებას, საჯაროდ იდენტიფიცირდეს სავაჭრო ნიშნიან „ერთან“.<sup>24</sup> ამგვარად, ბარგი განასხეულებს იმ არა-სივრცეებს, რომლებსაც მომდევნო აბზაცებში განვიხილავთ: მისი, როგორც სასაქონლო იდენტობის, შეუძლებლობა სარგებლობს იმით, თუ როგორ ერწყმის რამე სხვად ყოფნის ფანტაზია სტერეოტიპს, რომელიც მომხმარებლის სხეულს დაუსრულებლად ცვალებად იდენტობებს ანიჭებს.<sup>25</sup>

ქვიარი ბარგის სტრატეგიის გენეალოგია 1970-იანების გეი პრაიდებიდან მოდის, იმ დროიდან, როცა გეი სხეულები პირველად ორგანიზდნენ ხილვად საჯარო რიგულში. პრაიდის ალუმები გეებს და ლესბოსელებს საშუალებას აძლევდა, თავიანთი პირადი იდენტობები ოფიციალურ სანახაობაში გამოეცადათ, გარდა ამისა, ალუმები ჰეგეროსექსუალ მაცურებელს სთავაზობდა ცოცხალ, ჩვეულებრივ ჰომოსექსუალობას იმგვარად, რომ მას ამისთვის აღარ უწევდა ანდერგრაუნდში - დრეგ შოუებზე ან გეი ბარებში წასვლა ვუაიერისგული სიამოვნების მისაღებად ან შემთხვევითი სექსისთვის.<sup>26</sup> ბოლო ოცი წლის განმავლობაში გეი პრაიდებზე „გეობის“ რეპრეზენტაცია შეიცვალა, რადგან

<sup>24</sup> სავაჭრო ნიშანს, საქონლის იდენტიფიკაციას და კოლონიზებულ ამერიკულ სხეულს მიმართების განხილვა იხილეთ: Lauren Berlant, "National Brands/National Body: Imitation of Life," in *Comparative American Identities: Race, Sex, and Nationality in the Modern Text, Selected Papers from the English Institute*, ed. Hortense J. Spillers (Boston: Routledge, 1991), 110-40.

<sup>25</sup> შავკანიან გეი მოდის სუბკულტურაში ამ „სტერეოტიპური ფანტასტიკური სხეულის“ როლის ეფექტური და ვრცელი გამოკვლევა მოცემულია ჯენი ლივინგსტონის დოკუმენტურ ფილმში, *Paris is Burning*. აგრეთვე იხ. ბერლანტი, "National Brands/National Body."

<sup>26</sup> გეი პრაიდის ისტორიაზე იხ. D'Emilio, *Sexual Politics, Sexual Communities*.

მარშში მონაწილეები ახლა მხოლოდ მათი სექსუალური პრაქტიკით აღარ განისაზღვრებიან. მეგროპოლისურ და სამოქალაქო საჯარო სივრცეებში გვი საკითხების მიმდინარე პოლიტიკაში გამოიწვია გაფართოებული ალიანსები, სადაც კოლექტიურ პოლიტიკურ ბრძოლებში პროგრესული „ჰეტეროსექსუალებიც“ შეიძლება, „ქვიარებად“ მოვიაზროთ.<sup>27</sup> შედეგად, გვი პრაიდი აღარ წარმოადგენს უზარმაზარი კარის სახიფათო გაღებას; იდენტობის კონსოლიდაციაში მისი როლი სხვადასხვაგვარია და დამოკიდებულია იმაზე, მისი მონაწილეების აზრით, რა სახის კომუნიკაციას მოიცავს პრაიდი. მეინსტრიმულ კულტურაში გვი პრაიდის ალუმები ჯერაც ვერ გაუგებდნენ, მაგალითად, წმინდა პატრიკის დღის ალუმებს (როდესაც ხალხი მწვანე განსაცემელს იცვამს და „ერთი დღით ირლანდიელი ხდება“), მაგრამ უფრო პლურალისტური და ინკლუზიური გახდა და მოიცვა სანახაობის მაყურებელზე, თვითკონსოლიდაციაზე ორიენტირებული, საგურნალიური და ტრანსგრესიული მომენტები.<sup>28</sup> თუმცა Queer Nation-ი ტრადიციულ გვი პრაიდებშიც მონაწილეობს, ჯგუფმა ალუმის სტრატეგია განაახლა და დახვეწა; მოხდა იმის აღიარება, რომ ამ ფორმის დაგეგმვა, დისტანცირებული და, საბოლოო ჯამში, ლიმიტირებული ბუნება ჰეტეროსექსუალური ნორმების მხოლოდ მომენტალური ჩანაცვლების საშუალებას იძლევა: ბოლოსდაბოლოს, შეგიძლია აირჩიო, რომ საერთოდ არ წახვიდე ალუმზე ან უყურო ამ სცენას ისე, რომ მისი წარმოსახვითი მონაწილეც კი არ გახდე.

ურბანული ამერიკის დაუნთახუნებში გამართულ ალუმებზე Queer Nation-ის წარმომადგენლები ხშირად სკანდირებენ, „ჩვენ აქ ვართ, ჩვენ ქვიარები ვართ, ჩვენ არ ვმოპინგობთ.“ მაგრამ განსხვავებულ კონტექსტში მოპინგი Queer Nation-ის ტაქტიკის ფორმაა: „ნიუ იორკის ქვიარ მოპინგის ქსელმა“ და სან ფრანცისკოს „გარეუბნების ჰომოსექსუალების აუთრიჩის პროგრამამ“ (SHOP) ურბანული პრაიდის შედარებით შეზღუდული სპექტაკლი საფაქრო ცენტრისთვის დამახასიათებელ სიამოვნებებში გადაიტანეს. ამგვარად, „საფაქრო ცენტრის ხილვადობის აქტივობები“ აერთიანებს ალუმის სანახაობრივ შარმს და ჰარე კრიშნას სტილის პროპელიტიზმის მეთოდებს. ქვიარი მოხალისეები, რომლებიც ცენტრში თმის გელით გაღამებულნი შედიან და ფლაერებს არიგებენ, ერთგვარი „შეჭრაა“, რაც სხვა სახის მესიჯს გადასცემს: „ჩვენ აქ ვართ, ჩვენ ქვიარები ვართ, *შენ* მოპინგობ.“

ეს მინიატურული ალუმები ეროტიკულად, სოციალურად და ეკონომიკურად კომპლექსურ სივრცეს კვეთენ. მაშინ, როდესაც ჰეტეროსექსუალური ბარის კლიენტები ბარის ფუნქციებს სიამოვნებისა და სურვილის ტერმინებში მანაც აღიქვამენ, საფაქრო ცენტრში მოპინგეები ეყრდნობიან ცენტრის ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა „ოჯახური“ გარემო, გარემო, რომელიც „ქალაქის ცენტრის, როგორც სუფთა, უსაფრთხო და გასაგები ადგილის, ნოსტალგიურ სახეს ქმნის.“<sup>29</sup> ლამაზად ჩაცმული და საჯაროდ წარმოჩენილი ქვიარების საშუალებით „ქსელი“ მისი წევრების სხეულებს ბილბორდებად

<sup>27</sup> იხ. Ross, No Respect.

<sup>28</sup> იხ. Richard Herrell, "Symbolic Strategies." ჰერელი განიხილავს, თუ როგორ ირგებენ ალუმზე ჩიკაგოელი პოლიტიკოსები ყოველწლიურად ფსევდოირლანდიურ გვარებს, მაგალითად, „მერი რიჩარდ ო'ლეილი.“ სხვადასხვა კულტურულ ჯგუფებზე მიკერებული სტილი შეიძლება ამგვარი ლაკუზის ტესტით ამოვიცნოთ: „მერი რიჩარდ გეილის“ წარმოუდგენლობა მიგვანიშნებს, რომ ჯერჯერობით არ არსებობს იმგვარი რამ, როგორიცაა „საპატიო“ სიმბოლური ჰომოსექსუალობა.

<sup>29</sup> იხ. Anne Friedberg, "Flaneurs du Mal(l)," PMLA 106 (May 1991): 419-31. მაშინ, როდესაც ფრიდბერგი ანალიზებს საფაქრო ცენტრს, როგორც თეატრს, ილუმინირულ და არსებითად არამონაწილეობით სივრცეს, ჩვენი აზრით, „საფაქრო ცენტრის“ ეროტიკა სცდება მის მიერ აღწერილ მომხმარებელი/საქონლის გაცვლას, რომელიც მოიცავს სხვა ადამიანების, როგორც პროდუქტების, ვიზუალურ მოხმარებას.

იყენებს, რათა შექმნას ის, რასაც მერი ენ ლოუნი უწოდებს „სურვილს, რომ გსურდეს.“<sup>30</sup> ეს ქვიარ მოშოპინგეები აქეთ-იქით იყურებიან, ერთმანეთს კოცნიან და პოზირებენ, ამით ისინი არღვევენ სავაჭრო ცენტრების ანტისექსუალურ ასექსუალურ ბედაპირს და ააშკარავენ, რომ ამ სივრცეებში უამრავი ექსპლიციტურად სექსუალიზებული გაცვლა ხდება - კრუიზინგი, ხალხის თვალიერება, ვიგინების თვალიერება, სამოსის მოსინჯვა, საქონლის შეძენა და ანონიმური სექსი.<sup>31</sup>

მეგროპოლისური სექსუალობის ჩაწერა გარეუბნური სტილის ნორმატიული სექსუალური რეპრესიის უსაფრთხო სივრცეში „ქსელის“ კრიტიკული პედაგოგიკის მხოლოდ ერთი ასპექტია. გარდა ამისა, სავაჭრო ცენტრის აქტივობები იყენებს ცენტრის იმ უგოპიურ ფუნქციას, რომელიც საქონელზე არსებულ ინფორმაციას სენსუალურ გამომხატვლობასთან აკავშირებს და რომელიც პროგნოზირებს, რომ მომხმარებელ სხეულებს შეიძლება ახალი ეროტიკული იდენტობები მიეკეროს. „ქვიარ მოშოპინგის ქსელს“ კარგად ესმის ყველაზე ბანალური სარეკლამო სტრატეგია: სექსი იყიდება. თუმცა ამ შემთხვევაში, სექსი სხეულებრივი სიამოვნებების ჩამანაცვლებლებს - ავტომობილს, ძვირადღირებულ შარფს - არ ყიდის, არამედ თვით სხეულის უნარს, რომ არაოფიციალური სიამოვნებები გამოსცადოს. „ქსელი“ თითქოს კიდევ ერთ საქონელს არიგებს ჰომოსექსუალობაზე ფლაერების სახით, მაგრამ მისი ირონიული ცოდნა იმის შესახებ, რომ საჯაროდ არის გამოფენილი, ამ გეი სანახაობას მაღაზიის ვიგინებში გამოფენილ საქონელთან აკავშირებს, რომლებიც ასევე უხმობენ მყიდველებს. ორივე მათგანი ამბობს, „მიყიდე“; მაგრამ „ქვიარ მოშოპინგის ქსელი“ მომხმარებლების ცდუნებას იმგვარი საქონლით ცდილობს, რომელსაც უკვე ფლობენ და ამას მხოლოდ აღიარება სჭირდება: სექსუალურად დაგვირთული და ექსპლიციტურად სურვილიანი სხეული. საბოლოოდ, სავაჭრო ცენტრის სპექტაკლი მიემართება თვით მომხმარებლის „პერვერტულ“ სურვილს, რომ გამოსცადოს განსხვავებული სხეული და საკუთარ თავს სთავაზობს, როგორც ყველაზე მოღურს იმ მიდგომებს შორის, რაც კი ცენტრში იყიდება.

Queer Nation-ი ცენტრის მიერ საგნებისა და სხეულების გაწყვილებას იყენებს იმით, რომ გრანსგრესიულად ამხელს, ეს შემოსაზღვრული, უსაფრთხო კომერციული სივრცე ამავედროულად ინფორმაციული სისტემაცაა, სადაც სექსუალური ნორმები და კულტურული იდენტობები კონსოლიდირდება, და ამგვარად აკავშირებს მას Queer Nation-ის ბოლო საზღვართან, მედიასთან. Queer Nation-ი ურბანული მედიის კაკოფონიაში შედის და არსებული სივრცეების კოლექტიურ, ანონიმურ დისკურსულ გაცვლებში თავის ორიგინალურ პროპაგანდას ფანტავს გრაფიკის, პოსტერებისა და ფლაერების სახით. Queer Nation-ი სხვადასხვაგვარად სარგებლობს მედიის აბსტრაქტული/ინფორმაციული აპარატით და გეი ხილვადობის სახელით მის სივრცეებს ფუნქციებს უცვლის მიმდინარე „ურბანული რედეკორაციის პროექტისთვის.“<sup>32</sup> პირველ რიგში, ჯგუფი მანიპულირებს თანამედროვე მედიის ძალით, რომ შექმნას და გაავრცელოს კულტურული ნორმები და სხვა პოლიტიკური პროპაგანდა: შეიძლება ითქვას, რომ Queer Nation-ი პარაზიტულად სარგებლობს მედიის სოციალიზაციის ფუნქციით. გარდა ამისა, Queer Nation-ის ხშირი ინტერვენციები სექსუალობის საჯაროობაში ლაღად იწვევს და ეწინააღმდეგება მონუმენტურობის ცდუნებას და ამგვარად გვერდს

<sup>30</sup> Mary Ann Doane, *The Desire to Desire* (Bloomington: Indiana University Press, 1987).

<sup>31</sup> *Raunch*-ში ერთ-ერთი წერილიდან ვიგებთ, რომ, რომ კოლორადოში, დენვერის საუთგლენის სავაჭრო ცენტრში, სადაც ერთ-ერთი ჩვენგანი მთელი ბავშვობა ყოველ შაბათს იქ იყო, ქვეყანაში ერთ-ერთი საუკეთესო glory hole-ები იყო. ამით აღგვაცებული დავრჩი. ბოიდ მაკდონალდი, *Raunch* (Boston: Fidelity Publishing, 1990).

<sup>32</sup> ეს ფრაზა პირველად 1991 წლის გაზაფხულზე, Queer Nation-ის ჩიკაგოს შეკრებაზე მოვისმინეთ.



უელის სექსუალური სუბკულტურების გენდენციას, რადიკალური სექსუალობის სახეები გრანსგრესიის ახალ სტანდარტებად აქციონ.

გარდა საკუთარი ინფორმაციის წარმოებისა, Queer Nation-ის მასმედიაცია კიდევ უფრო ირონიულ, მედისონ ავენიუს სტილის ფორმას იღებს - რეკლამების „გაქვიარებით“ იმგვარად, რომ ისინი პროტესტის ინსტრუმენტებად იქცნენ მედიის წინააღმდეგ, რომელიც ქვიარობას უჩინარს, სტერილურს ხდის ან სანახაობისთვის აფეციშებს. ეს უფრო მეტად ორამროვანია, ვიდრე პოლიტიკური გადაწყვერის გრადიცია - მაგალითად, ფემინისტების მიერ ბილბორდებზე წარწერების კეთება, როგორცაა „ეს შეურაცხყოფს ქალებს“<sup>33</sup> - რისი მემკვიდრეც არის იგი; Queer Nation-ის პრიალა ფსევდორეკლამები გეისა და ჰეტეროსექსუალს შორის სემიოტიკურ საზღვრებსაც კი იმეორებს, ავლენს და არღვევს. ჯგუფის მიერ შექმნილი მინსტრამული რეკლამების პაროდები და რეკონსტრუქციები პროლექტებს სექსუალობას ანიჭებს და ჰომოსექსუალობას პროლექტად წარმოადგენს: ისინი ამხელენ იმ საქონლის ქვიარობას, რასაც ჰეტეროსექსუალური კულტურა ქმნის და ყიდულობს - ორიგინალში დაფარული ფორმის გამიშვლებით ან მისი გამიზნული წაშლის გამოვლენით და აღმოფხვრით. მოკლედ, Queer Nation-ის ეს ყველაზე კომერციული კამპანია, ამერიკული ცხოვრების წესის ერთგულებით, ქვიარობას „აკარგებს“ იმით, რომ საქონელს „აქვიარებს“.

ამ პროექტის ერთ-ერთი ფორმაა იმის გამოაშკარავება, რომ კორპორაციები ეკონომიკურად დაინტერესებული არიან „ბაზრის სეგმენტებით“, რასაც ეს კორპორაციები ღიად არ ადასტურებენ. ნიუ იორკის Gap-ის რეკლამების სერია P-ს Y-თი ცვლის დახვეწილ რეკლამებში, სადაც გეი, ბისექსუალი და საეჭვოდ პოლიმორფული სელებრითები არიან წარმოდგენილი. ინსაიდერისთვის ეს ნიშნავს იმ ფარულად გეი და ბისექსუალი ნახევრად სელებრითების სექსუალობის გასაჯაროებას, რომელთაც Gap ხშირად იყენებს მოდელებად. მაგრამ ეს რეკონსტრუირებული ბილბორდები კომპანიის იმ პოლიტიკასაც მიემართება, რომელიც გეი სტილს სამოსის გაყიდვისთვის იყენებს ისე, რომ გეი ქუჩის სტილის წვლილს არც აღიარებს: თვითონ სტილი ხდება საჯარო, გარეთ გამოგანილი, ისევე როგორც ის ჰეტეროსექსუალი ურბანული მომხმარებლები, რომლებიც იგებენ, რომ სამოსი, რომელიც მათ აცვიათ, გეის ნიშნავს.

Gap-ის რეკლამები კორპორაციის ჩაკეტილობას და ჰეტეროსექსუალური მომხმარებლური კულტურის არათანმიმდევრულობას უპირისპირდება, რეკლამების კიდევ ერთი სერია კი მიემართება ეროვნულ მორალურ გაკოგრებაში რეკლამის კომპლიციგურობის კლასობრივ იმპლიკაციებს. Lotto-ს პაროდული რეკლამები ავლენს მსგავსებებსა და განსხვავებებს ღარიბი და გეი მოქალაქეების ეროვნულ დალაგს შორის. ნიუ იორკის Lotto-ს რეკლამის „ჰეტეროსექსუალური“ ვერსიები ასახავს სხვადასხვა ასიმილირებული გენდერისა და ეთნიკურობის განზოგადებულ მოქალაქეებს, რომლებიც უეცარი სიმდიდრის შესახებ თავიანთ ფანტაზიებს აქლერებენ წარწერის ქვეშ: „ერთადერთი, რაც გჭირდება, არის ერთი დოლარი და ოცნება.“ ეს რეკლამები მოქალაქეობას და მყიდველობას აერთიანებს და მიანიშნებს იმაზე, რომ მუშათა კლასის ან ეთნიკურ ამერიკელებს თავიანთი ამერიკული ოცნების ახდენა ფულის დახარჯვით შეუძლიათ. Queer Nation-ის ერთ-ერთი რეკლამა წარმოადგენს „ჩვეულებრივ მოქალაქეს“ იმ მოხდენილ პოზაში, რომელიც ნამდვილ რეკლამებში გვხვდება. რეკლამას აწერია: „მინდა, საკუთარი სიგარეგების კომპანია გავხსნა და 'პილარასტები' დავარქვა.“ ჩნდება Queer Nation-ის ლოგო სლოგანთან ერთად - „ერთადერთი რაც გჭირდება, არის

<sup>33</sup> იხ. ჯილ პოზენერის (Jill Posener) ფოტოესე ბილბორდების სპრეით მოხატვის ბრიგანულ და ავსტრალიურ ფემინისტურ მოძრაობაზე, in *Louder than Words* (New York: Pandora Press, 1986).

სამი დოლარი და ოცნება.“ ეს რეკლამა მოქალაქეობას კვლავ კაპიტალისტურ მიღწევასთან აკავშირებს, მაგრამ ამერიკული ოცნების კლიშეს ირონიული წარმოდგენა ასევე აფუძნებს სოციალური გათავისუფლების შესახებ „გვი ბიზნესის“ ლიბერალური მიდგომის მიმართ ჯგუფის წინააღმდეგობას - აღნიშნული მიდგომის თანახმად კაპიტალისტური ლეგიტიმაცია სოციალური მარგინალიზაციის ნეიტრალიზაციას ახდენს. Queer Nation-ი აღიარებს, რომ სამი დოლარი იმგვარი შემოთავაზებაა, რაზეც მოლაპარაკება შეუძლებელია. ეს გადაკეთებული წარწერა ავლენს, რომ ლაგარეის ფუნდამენტური დაპირება არ ამართლებს გვი მოქალაქეებისთვის, არ აძლევს მათ საშუალებას, რომ სექსუალურ თავისუფლებას მისდიონ, რაც უფრო ღირებულია, ვიდრე ნებისმიერი ჯეკპოტის თუ ბანკის ანგარიშის შემადგენლობა.

Queer Nation-ი რეპრეზენტირდება, როგორც კონგრუორპორაცია, ბიზნესი საკუთარი ლოგოთი, კორპორატიული იდენტობით, ყველგანმყოფობით და, ამგვარად, იჭერს და შლის კორპორატიული ანონიმურობის პრივილეგიებს.<sup>34</sup> იგი ითვისებს იმ პრივილეგიას, რასაც ეს ანონიმურობა იძლევა, კერძოდ, კორპორატიული ქმედებების გამო მტკივნეული თავდასხმების თავიდან არიდებას. კორპორატიული ნეიტრალიზაციის ფასადს მიღმა გახედვით Queer Nation-ი ააშკარავებს, რომ ბიზნესებს მიღმა არიან ადამიანები პოლიტიკური დღის წესრიგებით და მომხმარებლები კი მოქალაქეები არიან, ბიზნესები მათ წინაშე თავიანთი პროდუქტების ხარისხზე მეტით არიან ანგარიშვალდებული: საკუთარი თავის აბსტრაქციებით Queer Nation-ი კორპორაციას განასხეულებს. Lotto-ს რეკლამა საბოლოოდ მაინც გვთავაზობს კაპიტალისტური ოცნების მანქანის ალტერნატივას: Queer Nation-ის ლოგო, რომელიც შეპირისპირებულია წარწერასთან, „ერთადერთი, რაც გჭირდება, არის სამი დოლარი და ოცნება,“ მომხმარებელს მოუწოდებს, ინვესტირება საკუთარ „კორპორატიულ“ იდენტობაში მოახდინოს.

თავისთავად Queer Nation-ის ლოგოც არსებული ეროვნული კორპორატიული ლოგოების პაროდია ხდება: სწორედ ისევე, როგორც წითელმა, თეთრმა და ლურჯმა „იყიდე აშშ“ იარლიყებმა, ყვითელმა ბაფთებმა და დროშებმა პატრიოტიზმის კომოდიფიკაციით, საბოლოო ჯამში, გააძლიერა იგი, Queer Nation-ის მარკეტინგისა და რეკლამის გავრცელებამ მისი დაპირებების გერიგორია გააფართოვა.<sup>35</sup> Gap-ის ტანისამოსი და ლაგარეის ფანგაზიები ისევე ანიჭებს ადამიანებს იდენტობებს, როგორც დროშის კიგჩი, შესაბამისად, Queer Nation-ს დამატებითი ძალა ეძლევა ამ და სხვა საქონლის მნიშვნელობების გამოვლენის ან გრანსფორმაციისთვის - არა უბრალოდ რეაპროპრიაციით, რასაც კემპი ინდივიდუალურ დონეზე ასორციელებს, არამედ კოლექტიური მიმიკრიის, რეპლიკაციის და შეჭრის საშუალებით იმ ფსევდოიდენტობებში, რასაც კორპორაციები წარმოქმნიან, თვით ერის ჩათვლით.

<sup>34</sup> პარადოქსულია, მაგრამ ნამდვილმა კორპორაციებმაც, თავის მხრივ, გამოიყენეს Queer Nation-ის/Gran Fury-ის გვი ფსევდორეკლამების ორიგინალური სტილი, ამის მაგალითია Kikit-ის ბილბორდი, რომელზეც ორი „ლესბოსელი“ - სინამდვილეში ანდროგინური ჰეტეროსექსუალი წყვილი - ერთმანეთს კოცნის.

<sup>35</sup> New York Times-მა მთელი განყოფილება დაუთმო ფასიან რეკლამებს, რომლებიც სპარსეთის ყურეში შეჭრას მხარს უჭერდა და კომერციულ რეკლამებს, რომლებიც პატრიოტიზმს მყიდველობასთან აკავშირებდა. მათ შორის იყო Steuben-ის დროშისანი შუშის ფურცლის დამჭერი, Bloomingdale-ის ორგვერდიანი რეკლამა, რომელიც მიესალმება მამების „თავდადებას ოჯახისა და სამშობლოსთვის“, და - ალბათ ჩვენი დროის ყველაზე შავი კალამბურით (თუკი, შესაძლოა, „ჰუსეინის სადამიზებას“ არ ჩავთვლით) – Saks Fifth Avenue-ს რეკლამა წარწერით, „ქალის ადგილი არის სახლში მამაცებისა და თავისუფალთა მიწაზე“ (New York Times, Sunday, 9 June 1991).

Queer Nation-ის მიერ მომხმარებლურ სივრცეში ქვიარ მგრძობელობის შეგანა და სივრცეების ფსიქოლოგიური და ფიზიკური შეღწევადობის პოტენციალის აღიარება გადაწყვეტი მნიშვნელობისაა მოქალაქეობის რეკონსტიტუირებისთვის. რადგან, საბოლოო ჯამში, ინდივიდის თვითაღქმა „ამერიკელად“ ან/და „ჰეტეროსექსუალად“ მოიცავს თანხმობისა და ადგილობრივი კონგრუისის პარალელურ პრობლემებსაც: იმ დაცვის, უსაფრთხოებისა და ძალის სანაცვლოდ, რასაც ეს იდენტობები ინდივიდს ანიჭებს, ისინი ფსიქოლოგიურ და სხეულებრივ დისციპლინას მოითხოვენ. ოფიციალური ერი საჯარო ლიბიდურ სიამოვნებას პოლიტიკური იდენტობის ფასად იშორებს, ქვიარ მოქალაქეობა კი ინდივიდს საკუთარ სპეციფიკურ სიამოვნებებზე უფლებას ანიჭებს. საბოლოო ჯამში, ამერიკა, როგორც არა გეოგრაფიული, არამედ სიმბოლური ლოკუსი, სადაც ინდივიდებს არსებითი კავშირი აქვთ 250 მილიონ სხვა ინდივიდთან, ჩვენ მიერ აღწერილ ჰიპერსივრცეებს შორის ყველაზე შეუძლებელია. ეროვნული იდენტობის ოფიციალური ტრანსფორმაცია სტილად - დროშის ტრანსვესტიგურ „დროშობად“ ქცევა - Queer Nation-ისთვის უნაკლო საშუალებაა, რომ „ქვიარობა“ კემპურ კონგრეროვნებად აქციოს, რაც ასრულებს იმ პირობას, რომ მოქალაქეს ბოლოს და ბოლოს ექნება საშუალება, რომ სხვა, მეორად სხეულებთან ერთად, რომლებსაც Queer Nation-ი ყიდის, თავის ძალიან რეალურ, ძალიან ეროვნულ სხეულს ფლობდეს.

### **შენ გარეშე ჩვენ არაფერი ვართ, და ამის მიღმა**

ჩვენ მოვახდინეთ Queer Nation-ის გერიტორიალიზაცია და აღვწერეთ, როგორ ქმნის ის ქვიარ კონგრესამოგადობას გრადიციული ეროვნული სიმბოლოების, ყოველდღიური ოფიციალური და საჭირო სივრცეების, გიპური საჯარო სიამოვნების რიგუალური ადგილების (აღლუმები, სავაჭრო ცენტრები, ბარები და სხეულები) და იმ კოლექტიური იდენტობებისგან, რომლებსაც მომხმარებლები მასობრივი კულტურის რეჟიმში ყიდულობენ. გვი ურბანული ცხოვრებისა და პრაქტიკების მიმდინარე და სკანდალურად ჩვეულებრივ მოვლენად წარმოჩენის შედეგი ისაა, რომ ხდება გვი სუბიექტებისთვის უსაფრთხო სივრცის კონსოლიდაცია და, ამავდროულად, ნორმატიული სექსუალური რეფერენცის სრული დისლოკაცია. ეროვნულობა, როგორც ფანტაზიისა და პრაქტიკის ფორმა იდევნა ლეგალურ და ჩვეულებით ახსნას იმისა, თუ რაგომ არიან ამერიკელი მოქალაქეები, როგორც *ჰეტეროსექსუალები*, დაცულები, Queer Nation-ი კი ეროვნულობის უსხეულო სტრუქტურას იყენებს იმის მტკიცებით, რომ ჰეტეროსექსუალი თემის მხრიდან გვი ამერიკელების მიმართ ქსენოფობია სწორედაც შეუსაბამო რეაქცია იქნებოდა. იმის მტკიცებით, რომ გვი და ჰეტეროსექსუალი სამოგადობები თანაარსებობენ ბოგადად ამერიკელებთან, Queer Nation-ი აჩვენებს, რომ სამღვრები, რომლებმაც ამ სექსუალურ მოსახლეობებს შორის განსხვავებები შეიძლება უმრუნველყოს, არის ადგილობრივი (მაგალითად, უბნები), ნორმატიული (მაგალითად, გაქსონომიები) და ელასტიური (მაგალითად, ლაგექსი). მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, ეს განსხვავებები ეროვნულად არ უნდა მივიჩნიოთ და ამ მხრივ Queer Nation-ი ყოველდღიურ ცხოვრებასა და მოქალაქეების უფლებებს ჯეროვნად აკავშირებს ერთმანეთთან.

მიუხედავად იმისა, რომ Queer Nation-ი გაქტიკურად ერთვება ინფორმაციული კულტურების პოსტმოდერნულობაში, კვეთს სოციალური იდენტობისა და გამომხატველობის ადგილობრივ და უსხეულო სივრცეებს, რათა გამოავლინოს ის კომუნიკაცია, რომელიც უკვე არსებობს აშკარად შემოსამღვრულ სექსუალურ და გექსტურ სივრცეებს შორის, ჩვენი ამრით, ეს კამპანია მაინც ვერ გასცდა ამერიკული ნაციონალიზმისთვის დამახასიათებელი გლამურისა და ჰომოგენურობის

ფანტაზიებს. შეგვიძლია, კომენტარი გავაკეთოთ იმ აპრიორულ მასკულიზებაზე, რომელიც ქვიარ სპექტაკლშიც კი ღომინირებს; შეგვიძლია, ყურადღება მივაქციოთ აგრეთვე, რომ ქვიარ კონტრსაჯაროობაში შედარებით სუსტად არის ჩართული ეკონომიკური, რასობრივი, ეთნიკური და არაამერიკული კულტურები.<sup>36</sup> მოკლედ, იმ მოსაზრების გამო, რომ მოქალაქეთა ერთადერთი მეამბოხე „უცხო“ იდენტობა „ქვიარობაა“, Queer Nation რჩება ამერიკული მოქალაქეობის განმამოგადებელი ლოგიკისა და ოფიციალური ფორმალიზმის ფარგლებში - ფორმალიზმის, რომელიც სექსუალური ობიექტის არჩევანს ინდივიდუალურ თვითიდენტობასთან აიგივებს. ჩვენ ვეთანხმებით, რომ საჭიროა ვაღიაროთ ის გერმინები, რითიც ადამიანები საკუთარ თავს მოიხსენიებენ, თუნდაც ისინი იურიდიული და სამედიცინო დისციპლინების მიზნებისთვის იყოს შექმნილი. სპექტაკლისა და თვითაქტის სახალხო ფორმებს მასობრივი კულტურული ბრძოლის წარმოებისთვის გადაშვებები მნიშვნელობა აქვს. მაგრამ არ არის საკმარისი, მასობრივი კონტრეროვნულობის ამოქმედებულ მანქანაში ქალები, ლესბოსელები, რასობრივი უმცირესობები და სხვები უბრალოდ „ჩართო“. „ქვიარ სიმბოლურის“<sup>37</sup> უგოპიური პირობის შესრულებას უფრო მეტი სჭირდება, ვიდრე მულტიკულტურული კერვის წრე, რომელიც ამერიკის დროშაზე ვარდისფერ სამკუთხედს აკერებს ან 250 პოტენციური პაგარა ვარდისფერი სამკუთხედით დროშას ახალ წაბილწულ სიმბოლოდ აქცევს; მეტია საჭირო, ვიდრე ახალგაზრდა ძლიერი გოგოს/ქალის სხეული, რომელსაც მასკულიზური პოლიტიკური ფანტაზიის ფსევდობასტრაქცია საამკარაობზე გამოაქვს. ეროვნულ ნორმატიულობაზე ქვიარ კულტურის თანხმობა მხოლოდ დროებითი უნდა იყოს.

როგორც აღვნიშნეთ, 1990-იანებში ამერიკაში კემპური ესთეტიკა უფრო თვალსაჩინო ხდება. კემპი ამერიკა აცოფებს, არცხვენს და ხანდახან კეთილგანწყობილად ართობს ოფიციალურ ეროვნულ ფიგურებს და სიამოვნებას ანიჭებს გეი, აფრიკელ ამერიკელ, ფემინისტ და მემარცხენელ იდენტურობის მქონეებს, რომლებსაც ესმით, რომ ეროვნულ დონეზე რამეს დამახინჯებული ფორმით წარმოდგენა არღვევს იმ ჩარჩოს, რომელიც ეროვნულ ფანტაზიას ჩვეულებრივი სხეულებისგან ყოფს. მაგრამ მშნა „რღვევა“, რა თქმა უნდა, დროითი ფანტაზიაა: გაქტიკურმა ინტერვენციებმა, მაგალითად, დრედ სკოტის დროშა-ფეხის გილომ ჩიკაგოს ხელოვნების ინსტიტუტში, ან კელი და რონი ქათროუნების მიერ ნიუ იორკში დროშის პოლიმორფულ სასიყვარულო გეგრაფიკულ გრანსფორმაციამ, მომენტალურად დაშალა ეროვნული აბსტრაქტულობა იმით, რომ სხეულები ეროვნულ არტად აქცია, ცენზურის კანონი კი სასაცილო გახადა. ეს ქესტები პოტენციურად სახიფათო და ლეგალურად სკანდალური იყო: მაგრამ მუზეუმებში/გალერეებში განთავსებულები, ისინი ეყრდნობოდნენ თავისუფალი „არტისტული“ გამოხატვის ჩვეულ დაცვას და ეროვნული სიმბოლოების გასკანდალურების უფლებაც ამგვარად მოიპოვეს. მაშინ, როდესაც საჯარო და პრივატული სექსის

<sup>36</sup> Charles Fernandez, "Undocumented Aliens in the Queer Nation," *Out/Look* 12 (Spring 1991): 20-23.

<sup>37</sup> ჩვენ მიერ „ქვიარ სიმბოლურის“ ხსენება ეყრდნობა ბერლანტის მიერ ოფიციალური „ეროვნული სიმბოლურის“ ანალიზს, რომელიც ამერიკულ ცხოვრებაში პოლიტიკურ აფექტს მართავს და პოლიტიკური კონტრლექსიკონის ცნებას Queer Nation-ის მიმდინარე პრაქტიკებზე აფერხებს. „ეროვნული სიმბოლური“ განისაზღვრება როგორც „დისკურსული პრაქტიკების წესრიგი, რომელთა ეროვნულ სივრცეში ბატონობა... ინდივიდებს კოლექტიური ისტორიის სუბიექტებად გარდაქმნის. მისი გრადიციული სიმბოლოები, მეტაფორები, გმირები, რიტუალები და ნარატივები კოლექტიური ცნობიერების ან ეროვნული სუბიექტურობის ანბანს წარმოქმნის; „ეროვნული სიმბოლურის“ საშუალებით, ისტორიული ერი ესწრაფვის, ბუნებრივი კანონის, მემკვიდრეობითი უფლების, სტატუსის გარდაუვალობას მიადწიოს. ეს ფსევდო-განმზრადებული მდგომარეობა არა მხოლოდ მოქალაქის მიერ მისი პოლიტიკური უფლებების სუბიექტურ განცდაზე მოქმედებს სიღრმისეულად, არამედ აგრეთვე, სამოქალაქო ცხოვრების, პირადი ცხოვრებისა და თვით სხეულის ცხოვრების გამოცდილებაზე“ (Berlant, *The Anatomy of National Fantasy*, 20).

წინააღმდეგ არსებული კანონები ისევ იძენს ძალას, სექსუალურ არგსა და სექსუალურ პრაქტიკებს შორის განსხვავება უნდა ჩანაცვლდეს სექსუალობის მეამბოხე სახელდებით სპექტაკლს მიღმა.

სხვა სიკვებით რომ ვთქვათ, სიმბოლოების ამერიკისა და მისი შინაგანად კონსტრუირებული სხვების, მაგალითად, „სხეულის“ და „ერის“, თოპოციურ სტერეოტიპებს შორის პირდაპირი კონტაქტის სკანდალური გამოფენა, როგორც სპექტაკლი, რეპრეზენტაციისა და ძალაუფლების პრობლემას აგვარებს, რისი მოგვარებაც კონცეპტუალურად გაცილებით უფრო ძნელია. მაგრამ ეს განუსაზღვრელი „ჩვენ“, რომლის პოზიციიდანაც ჩვენ ვწერთ, რომელიც ტაქსონომიების არც ერთ მხარეს არ არის კომფორტული, ცდილობს უფრო კომპლექსურად განმომილებითი სექსუალობისა და პოლიტიკური იდენტობის ადგილი დაიკავოს, ვიდრე ეს უბრალო ერთობებია. როგორც მონიკ ვიტიგი ამბობს, ეს საკითხი არ ეხება უბრალოდ „ენის ამ კატეგორიების დედრამატიზაციას... უნდა მოვახდინოთ არსებითი კონცეპტების, ჩვენთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე კონცეპტების პოლიტიკური გრანსფორმაცია.“<sup>38</sup> ამ არასანქცირებული ტერიტორიის მონიშვნისთვის სანდრა ბერნჰარდის პრობლემას დაუბრუნდებით: დროში გახვეულ მის ფერმკრთალ სხეულს, მის პაგარა „red corvette“-სა და მის სურვილს, კათარმისულად აცლუნოს აფრიკელი ამერიკელი ქალი ლესბოსური ეროტიკის საშუალებით, რომელიც სენტიმენტალიზმით, ეროვნული პაროდიითა და ესთეტიკური დისტანციით მანიპულირებს. ბოლო მაცლუნებელი მომენტი, როდესაც ბერნჰარდი „შემთხვევით“ წარმოთქვამს, „ჩემ/შენ გარეშე მე არაფერი ვარ,“ შედგენილია იმ „შენ-ით“, რომლითაც იგი ფილმის გამხსნელ მონოლოგში აუდიტორიას მიმართავს. აქ ბერნჰარდი შეუძლებელს ნაგრულობს - რომ „შენ“, ანუ უსხეულო, ავტოეროტიკულმა მაყურებელმა ესთეტიკური და ცელულოიდური დისტანციის სივრცე გადაჭრას, რომ მას სახეზე აკოცოს, სწორედ იქ, სადაც იგი თითოთ ანიშნებს; ფილმის ფარგლებში აუდიტორიასთან ამგვარი კონტაქტი არ დგება. საბოლოოდ, მასკარადის, რასობრივი, რეგიონული, ეთნიკური და კლასობრივი დრეგის შემდეგ, და ამერიკული სტრიპტიზის დროს, ფილმი გვთავაზობს პასუხს, რომელიც ვარსკვლავის საწყის მოთხოვნას სცდება კიდეც: აუდიტორიაში მყოფი განზოგადებული შავკანიანი ქალი, რომელმაც ფილმი პერიოდულად ფანტაზირებდა არანარატიული, ნაგურალისტური სემანტიკებით, კაფეს მაგიდაზე პომადით წერს: „გაქიმე სანდრა ბერნჰარდი.“ ეს სინტაქსურად რთული განცხადება - თხოვნა, მოთხოვნა და უხამსობა - შავკანიანი ქალს ადგენს, როგორც სურვილის ობიექტს, ფემინური დისკურსის ავტორს და ფილმის უიმედოდ დაკარგული აუდიტორიის სახეს: მაშასადამე, ბერნჰარდის საბოლოო ლესბოსურ-ნაციონალისტურ სტრიპტიზთან ქალის სიახლოვე, მიანიშნებს არა წმინდად სენტიმენტალურ „ესენციალისტურ“ ლესბოსურ სპექტაკლზე, არა პოსტმოდერნულ მომხმარებლურ ფემინურ ავტოეროტიკაზე, არა ფალოცენტრულად შთაგონებულ ვნებაზე ლესბოსური „გამოცდილების“ მიმართ, არამედ ამ ყველაფერზე ერთად, და კიდეც მეტზე.

ამგვარად, ბერნჰარდი ლესბოსური სპექტაკლისა და ეროვნული კემპის შერწყმას ცდილობს.<sup>39</sup> იგი სკანდალურ ეროტიკულ სიამოვნებას წარმოქმნის, როდესაც მონაცვლეობს დროშის სხეულთან გაერთიანების შეუძლებლობასა და დროშის სრული მოშორების ასევე შეუძლებელ აქტს შორის:

<sup>38</sup> Monique Wittig, "The Straight Mind," in *Out There: Marginalization and Contemporary Cultures*, ed. Russell Ferguson, Martha Gever, Trinh T. Minh-ha, and Cornel West (Cambridge: MIT Press, 1990), 51-57.

<sup>39</sup> კემპის კონტრპოლიტიკის გენეალოგიასა და რადიკალურ სექსუალობასთან მის კვეთაზე ზეპირად გაგვესაუბრნენ რიჩარდ ჰერელი და პემ რობერტსონი. გექსტური მხარდაჭერისთვის, იხ.: Esther Newton, *Mother Camp: Female Impersonators in America* (Chicago: University of Chicago Press, 1979); Ross, *No Respect*; and Pamela Robertson, "Guilty Pleasures: Camp and the Female Spectator" (unpublished manuscript, University of Chicago, 1990).

როდესაც დროშის მოსასხამს იძრობს, იქვე სამი ახალი დროშა ჩნდება წითელი, თეთრი და ლურჯი ბრჭყვიალებიანი სტრინგის და პაგრიოგული პეისგების სახით, რაც გვაფიქრებინებს, რომ დროშების ეს ექსპონენციალური გამრავლება არასოდეს დასრულდება. სხეულისა და დროშის ეს მონაცვლეობა, რომელიც პირველის ნაციონალიზაციას და მეორის ეროგნიზაციას ახდენს, ემთხვევა კროსრასობრივ, ჰომოეროტიკულ გამოწვევას და უარყოფას მისი მომხმარებლის - აუდიტორიაში მყოფი შავკანიანი ქალის - მიმართ. შეიძლება ითქვას, პოლიტიკური გათავისუფლება, რომელსაც დროშა გვპირდება და სექსუალური გათავისუფლება, რომელმაც მისი მოძრობა მიგვანიშნებს, წარმოქმნის ორაზროვან სპექტაკლს, რომლითაც ეს სუბიექტები ამერიკულ სექსუალობას ცხოვრობენ.

ბერნჰარდის უარი, რომ თავისი ფემინური და სექსუალური იდენტობები ლესბოსური სიყვარულის ნარაგვიტ დაასრულოს, აგრეთვე გვაჩვენებს, რომ ამერიკულ საჯარო კულტურაში ქალური სპექტაკლის ეროგნიზაცია ჰეტეროსექსუალი და ლესბოსელი ქალების პოლიტიკურად ეფექტურ გრანსგრესიულ რეპრეზენტაციებს ვერ გვაძლევს. ბერნჰარდის სამღვრისა და მოლის გადაძვევით ფანტაზიისთვის ქალების შესახებ, ფილმი ერთგვარ ლიბერალურ პლურალისტურ სივრცეს წარმოიდგენს, მაგრამ იმასაც აჩვენებს, რამდენად ლესბოფობიური შეიძლება იყოს ეს ფანტაზია, რადგან ის მოითხოვს ესთეტიკურ დისტანციას - განზოგადებული თეთრკანიან ქალად იდენტიფიცირებული ქალის ჰეტეროსექსუალობას - იმისთვის, რათა ეროვნული, რასობრივი და სექსუალური აფილაცია მოხდეს. ბერნჰარდის სურვილი, რომ აუდიტორიაში მყოფმა შავკანიანმა ქალმა მიიღოს, ინარჩუნებს იმ ისტორიულ გვირგვინს, რასაც შავკანიანი ქალები ატარებდნენ კინოში, განსხვავების, სურვილისა და განჯვის ღირსეულობის რეპრეზენტაციით თეთრკანიანი ქალების მაგივრად, რომლებსაც თეთრი ჰეტეროსექსუალის პრივილეგიებისგან გათავისუფლების მეტისმეტად ეშინათ. ამრიგად, უარი, რომელსაც ბერნჰარდი აუდიტორიაში მყოფი შავკანიანი ქალისგან იღებს, აჩვენებს, რომ კინოს საჯარო სპექტაკლი ვერ ასრულებს თავის პირობას, რომ პატივი მიაგოს ქალის სურვილს, მის ნებისმიერ ფორმაში. ბერნჰარდის უუნარობას, რომ ვინმეს სურვილის ნეგატიურობას დაუკავშირდეს, ფოკუსი თვით ქალურ სპექტაკლზე გადააქვს, ქმნის მას ნეგატიურობის სცენად, თანმხლები მწარმოებლით, მომხმარებლით, აუდიტორიის მხრიდან წინააღმდეგობით და სხვადასხვაგვარი და ორაზროვანი იდენტიფიკაციების რეპრეზენტაციით.

ლესბოსური/ეროვნული სპექტაკლის რეპრეზენტაციისა და მიღწევის წარუმატებელი მცდელობა წინ წამოსწევს ამ ორი იდენტიფიკაციის ოქსიმორონულ თვისებას. ესეც ღარჩენილ ნაწილში გვინდა, ავხსნათ, როგორ შეიძლება სექსუალური და პოლიტიკური სპექტაკლის შერწყმის ეს წარუმატებლობა გახდეს საფუძველი, როგორც ქვიარ, ასევე ამერიკული ეროვნების გარდაქმნისთვის - არა ეროვნული ფრენჩაიზის მოპოვება ჩვენი შემოკრებილი მასებისთვის, არამედ იმ კონვენციებზე თავდასხმა, რომლებიც ახდენენ იდენტობის სახელდებას, ჩარჩოში აქცევენ გამომხატველობას და ქმნიან ტაქსონომიურ საშუალებებს, რომლებიც მოსახლეობებს და პრაქტიკებს განსაზღვრავენ, არეგულირებენ, იცავენ და აცენზურებენ ეროვნული კანონისა და ჩვეულების მეშვეობით. ლესბოსური ეროვნული სპექტაკლი აქ გვხვდება, როგორც გრანზიციული სივრცის ღონისძიება, გამოწვევა, რომ რადიკალურად გარდაიქმნას ნორმატიული საჯარო სივრცე და მისი კომუნიკაციის ისტორიული ფორმები, რისი ნაწილიცაა კაცების ჰომოსოციალურობა, საჯარო „პოლიტიკური“ ინტერესების მეტად ვიწროდ განსაზღვრული კრებული და პოლიტიკას და აფექტს შორის გამრუდებული მიმართებები.<sup>40</sup> ჩვენ გვესმის, რომ სექსუალური გამომხატველობის განსაზღვრა საჯარო პოლიტიკურ მეტყველებად და ეროტიკული აღწერის სპექტრის გაფართოებით ცენზურის მიმართ წინააღმდეგობა, ამაღროულებად,

<sup>40</sup> შესაბამისი პროექტისთვის იხ.: Scott Tucker, "Gender, Fucking, and Utopia," *Social Text* 27 (1991): 3-34.

ამერიკის მოქალაქეობის ფუნდამენტური პრივილეგიის განხორციელებასაც წარმოადგენს და კემპის თავშესაფრის დაკარგვის რისკსაც ქმნის. ამ რისკებს ქვიარები/ამერიკელები გვერდს ვერ აუვლიან. მეტიც, კითხვა იმის შესახებ, შეუძლია თუ არა ქალურ/ლესბოსურ სექსუალობას რამე პროდუქტიული კონგაქტის დამყარება პოლიტიკურ საჯარო სივრცესთან, ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში ლესბოსური პოლიტიკური თეორიის ძირითადი პრობლემაა, და ეს პრობლემა ყველა ჩვენგანს ეხება, ანუ თითოეულ ქვიარს და ამერიკელს.

ქალი სუბიექტები ყოველთვის შენიღბული მოქალაქეები არიან: რაც უფრო სექსუალურები ჩანან, მით ნაკლებად აბსტრაქტიზებული არიან ლიბერალურ კორპორატიულ სქემაში. ამ დილემას ლესბოსურმა თეორიამ გადაწყვეტა უპოვა წარმოსახვადი საზოგადოებების აგებით, რადგან, შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის თვითრეკლამის სტრატეგიებმა არ იმუშავა ლესბოსელებისთვის, რომლებიც ისტორიულად და ესთეტიკურად ხშირად ამჯობინებდნენ „გარე სივრცეს“ ამერიკისგან მათი გაცხოების ექსპატივიზაციულ გამოხატულებაში.<sup>41</sup> ქალის სხეული ხელახლა აღმოცენდა პოლიტიკური საჯარო სფეროს გარეთ მყოფი ლესბოსური პოლიტიკური თეორიის უსაფრთხო სივრცეებში, გომურ სტრუქტურებში, რომლებიც განსხეულებულ რიგულს და ინგიმურ სპექტაკლს უპირისპირებენ იმ დამცირებას, რისი აგანაც ქალებს და, განსაკუთრებით, ლესბოსელებს, უწევდათ. ჯილ ჯონსტონის სეპარატისტულ „ლესბოსურ ერში“ სიგყვა „ერის“ გვერდით მოციმციმე კითხვის ნიშანი, მონიკ ვიგის „ლესბოსურ სხეულში“ კუნძულზე სხეულის, სქესის და ცოდნის ეროგენური მეგამორფობები; ჯული ბაგლერის „გენდერის პრობლემაში“ სექსუალური თვითშეგენისთვის ცენტრალური მნიშვნელობის მქონე პერსონალური გენდერული პერფორმანსები - ყველა ცხადად გოვებს ჩვენთვის ნაცნობ ლიბერალურ ეროვნულობას.<sup>42</sup> მაგრამ რა საზოგადოებას ესწრაფვის ეს?

სეპარატისტული გასვლა კაცის მშერისგან თავისუფალ უსაფრთხო გერიგორიებში იძლევა საშუალებას, განხორციელდეს არაპორნოგრაფიული განსხეულება ყოველდღიურ ცხოვრებაში და ესთეტიკური პერფორმანსი, რომელიც ხაზს უსვამს ინგიმურობას, სუბიექტურობას და პირდაპირი მნიშვნელობით ადგილობრივ ჩარჩოს.<sup>43</sup> ჩვენ არ ვაპირებთ სეპარატისტული ექსპატივიზაციის სიკეთების დაკნინებას: მის ისტორიულ სხვადასხვაობაში სეპარატიზმმა გამოხატა პოლიტიკური უთანხმოების მდგომარეობა, რასაც ლესბოსელები და გეები უკვე განიცდიან ამერიკაში და თემის ეროტიკულობა გამოიყენა იმისთვის, რომ სხვაგვარი ფრენჩაიზის საფუძველი შეექმნა. მაგრამ სპექტაკლის ლოკუსის შეცვლით - მისი თითქოს სახელმწიფოს მიღმა გატანით - ლესბოსურმა თეორიამ უარი თქვა მასობრივ საზოგადოებაში ფემინური სპექტაკლის პრობლემასთან შეჭიდებაზე. სპექტაკლის პოლიტიკის ბაგლერისეული მეტროპოლისური პოლიმორფული გადაწყვეტაც კი გრანსგრესიის ძალას შემოფარგლავს ჩვეულებისა და კანონის გრანსფორმაციით ინდივიდუალურ სხეულზე განხორციელებული სიმბოლური ჩანაცვლების საშუალებით. ხოლო, როგორც Queer Nation-მა გვაჩვენა, „ადგილობრივზე“ ფოკუსს არ შეუძლია, უზრუნველყოს ეროვნული ინგიმურობა და ეროვნული სამართლიანობა, სადაც სპექტაკლი ინგიმურობისა და კონტროლის ინსტრუმენტი. თუკი სხეულის შეხვედრა დროშასთან სხვადასხვაგვარი საგნების შეწყვილებას წარმოადგენს,

<sup>41</sup> იხ. Teresa de Lauretis, *Technologies of Gender* (Bloomington: Indiana University Press, 1987), and Bertha Harris, "The More Profound Nationality of Their Lesbianism: Lesbian Society in the 1920's," in *Amazon Expedition: A Lesbian Feminist Anthology*, ed. Phillis Birky et al. (New York: Times Change, 1973), 77-88.

<sup>42</sup> Judith Butler, *Gender Trouble* (New York: Routledge, 1990); Jill Johnston, *Lesbian Nation* (New York: Simon and Schuster, 1973); Monique Wittig, *The Lesbian Body*, trans. David Le Vay (Boston: Beacon Press, 1986).

<sup>43</sup> Hortense J. Spillers, "Mama's Baby/Papa's Maybe: An American Grammar Book," *Diacritics* 17 (Summer 1987): 65-81.

პიროვნებებსა და კოლექტიურ იდენტობებს შორის დისტანციაც ასევე უნდა წავიკითხოთ არა მხოლოდ ისეთ ადგილად, რომელიც ფანტაზიით უნდა შეივსოს, არამედ ნეგატიურ სივრცედაც; სივრცედ, სადაც ამერიკულ კულტურაში მოტრიალვე იდენტობის სხვადასხვაგვარი ლოგიკა უეცრად ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის და არ არის უბრალოდ ანალოგიურ ურთიერთობაში.

ამ ღერძის გასწვრივ, არათეთრკანიანი ან/და არაკაცი ქვიარების ეროვნული ცხოვრების ნეგატიურობა უფრო რადიკალური ფორმით, ქვიარ ფანზინში აღმოცენდა.<sup>44</sup> ჩვენ აღარ ვიყენებთ სიტყვა „ლესბოსელს“ და ვანაცვლებთ მას ნეგატიური იდენტობის ამგვარი აღწერილობით, რადგან სწორედ ეს სივრცე - თეთრკანიანი კაცი მოქალაქის ეროვნულ ფანტაზიასთან არიდენტიფიკაციის სივრცე - არის თვით ქვიარ განმანათლებლობის ეროვნულობისთვისაც დამახასიათებელი სიმპტომი და, აგრეთვე, მასალა მისი გარდაქმნისთვის. როგორც წესი, ანდერგრაუნდული ფანზინები ღიად უარყოფენ საკუთრების ურთიერთობებს ინფორმაციასა და ხელოვნებასთან მიმართებაში, ზურგს აქცევენ მეინსტრიმული კომერციული გეი ჟურნალების - როგორებიცაა *The Advocate* და *Outweek* - კლასობრივ პოლიტიკას და გაურბიან *Queer Nation*-ის, *Gran Fury*-ის და *ACT UP*-ის მიერ ათვისებულ ფსევდო-Madison Avenue-ს წარმოების ღირებულებებს.<sup>45</sup> *BIMBOX* წერს, რომ ჟურნალი უფასოა, რადგან „სიმართლე ისაა, რომ შენ უკვე გადაიხადე *BIMBOX*-ისთვის. ჩვენ ყველამ გადავიხადეთ - ეს ძვირი დაგვიჯდა. გადავიხადეთ სისხლით და ცრემლებით. დაუცხრობელი ტკივილი ჩვენი კრედიტის ლიმიტია და უსასრულო ოვერდრაფტის დაცვით ვართ დაწყევლილები.“<sup>46</sup> ქსეროქსის კოლაჟები, პრინტერით ბეჭდვა და სხვა ფოტოტექნიკები კომბინირებულია კომიკური და პოლიტიკური კომუნიკაციის მედიუმში, რისი გეოგრაფიულად იზოლირებული მაგალითებიც გომის ინფოკულტურულ ვერსიად შეერთდა და ქსელად იქცა.<sup>47</sup> ამრიგად, „ქვიარ სიმბოლურის“ ტერიტორიის გამო დაპირისპირება დასრულდა იმით, რასაც *Bitch Nation*-ი, გორონგოს ფანზინის *BIMBOX*-ის მანიფესტი, სამოქალაქო ომს უწოდებს.

ფანზინების ერთადერთი საზიარო იდენტობა მათი *კონტრპროლეუქტიულობა* - მრავალსახოვანი მისია, რასაც ისინი იზიარებენ სხვა სექსუალურ რადიკალიზმებთან, რათა პოლიტიკური ტაქტიკისა და სექსუალური კომუნიკაციის შესახებ ამერიკულ და ქვიარ ეროვნულ ამროვნების წესს დაუპირისპირდნენ.<sup>48</sup> პირველ რიგში, ფანზინები აჩვენებენ, რომ „უხამსობა“ თავისთავად პოლიტიკური მეტყველებაა, რომელიც კონსტიტუციურ დაცვას იმსახურებს: „ამერიკის დროშის რამე სასიამოვნოდ ქცევა“, სონდრა გოლვინისა და რობინ პოდოლსკის „ფიცია/ექსტაზი“ საშუალებას იძლევა, „ვფიცავ, ვემსახუროს“, ეროვნული ერთგულების ფიცს, დაემატოს „ჩემი მუტელი დნება“, „მისი კლიტორი

---

<sup>44</sup> ფანზინებთან მიმართებაში „ჩიკაგოს სტილის უნივერსიტეტის“ ციტირების პროტოკოლების დაცვა შეუსაბამო და პრაქტიკულად შეუძლებელიც კია. აქ არის იმ ფანზინების სია, რომლებზე დაყრდნობითაც ეს განზოგადებული დაკვირვებები გავაკეთეთ: *BIMBOX 2* (Summer 1990); *Don't Tell Jane and Frankie* (undated); *Dumb Bitch Deserves to Die 2* (Winter 1989); *The Gentlewomen of California 6* (undated); *Holy Titclamps 6* (Fall 1990); *Homoture 2* (undated); *Manhattan Review of Unnatural Acts* (undated); *Negativa 1-3* (March-May 1991); *No World Order* (1990); *Screambox 1 and 2* (November 1990, May 1991); *Sister/My Comrade* (Winter 1991); *Taste of Latex 4* (Winter 1990-1991); *Thing 4* (Spring 1991).

<sup>45</sup> იხ. Crimp and Rolston, *AIDS DEMO GRAPHICS*.

<sup>46</sup> *BIMBOX 2* (Summer 1990).

<sup>47</sup> 1991 წლის მაისში ჩიკაგოს რენდლოფ სტრიტის გალერეამ უმასპინძლა ქვიარ ფანზინების პირველ საერთაშორისო კონფერენციას, სახელწოდებით „SPEW: ჰომოგრაფიკული ერთობა.“

<sup>48</sup> Rubin, "Thinking Sex"; and Lisa Duggan, "Sex Panics," in *Democracy: A Project by Group Material*, ed. Brian Wallis (Seattle: Bay Press, 1990), 209-12.



იბრლება ჩემს ენასთან შესახვედრად“, „ჩემი მუშტი ნაზად ეხება მის მუტელს“.<sup>49</sup> გარდა ამისა, ფანზინებმა გააფართოეს სექსუალური აღწერილობის სემანტიკური ველი და სექსუალური იდენტობა უკვე ნაცნობ პრაქტიკულ და ფანტასტიკურ ჰორიზონტებს მიღმა გაიტანეს - მაგალითად, როცა BIMBOX წარმოიდგენს „პილარასტებს, ლეზბიანებს და ასო-ებს (არაიდენტიფიცირებულ სექსუალურ ობიექტებს).“ მაგრამ ეს ქურნალები სამხედრო ამრითაც ქმედითია, ასაფეთქებლების საწყობია, რომელიც დაამსხვრევს იმ კატეგორიებს და დამკვიდრებულ პოლიტიკურ სტრატეგიებს, რომლითაც ქვიარები თავს იცავდნენ. ქვიარ კონტრსპექტაკლი შეიძლება წავიკითხოთ, როგორც საშუალება, რომ აგრესიულად დაიცვა ღირსება ჰეტეროსექსუალურ სამყაროში; მაგრამ ფანზინების კონტექსტში ეს სპექტაკლები სიმბოლოებიცაა, რომლებიც უნდა დაიმსხვრეს. არსებული ტაქტიკებისა და ტაქსონომიების მიმართ ღრმა ეჭვებია: „ლეზბიანები გრანოლა ლესბოსელების წინააღმდეგ. პილარასტები მგრძობიარე გვი კაცების წინააღმდეგ. და ბოზები ყველას წინააღმდეგ.“<sup>50</sup>

ფანზინები უერთდებიან ქვიარ კულტურის მიერ უცნობურ სიყვევის გამოყენების მიმდინარე პოლიტიკას, მაგრამ ზოგიერთი მათგანი ისეთ აქტივობაშიც ერთვება, რაც კიდევ უფრო პერვერტულად შეიძლება, იყოს მიჩნეული: საკუთარი აუდიტორიის აგრესიული სახელდება და უარყოფა. თუკი Queer Nation-ის მოქალაქეობა ნებაყოფლობითი, თანხმობაზე დაფუძნებული, დემოკრატიული და უნივერსალისტურია, ისევე როგორც ბევრ თანამედროვე ნაციონალიზმში, მაგალითად, Bitch Nation-ის მოქალაქეობის მიღება არ გულისხმობს დაპირებას მკითხველთა საერთო თემზე, საერთო ენის პრივილეგიებსა და კონტრიდენტობის უსაფრთხოებაზე. „და... არც კი იფიქროთ Bitch Nation-ის რომელიმე ასპექტის გამოყენებაზე, რომ თქვენი საცოდავი კარიერები ან სულებური მიზნები უფრო გლამურული ან ამაღლვებელი გამოჩნდეს. ჩვენ უყოყმანოდ აღვძრავთ საქმეს, და Bitch Nation-ის სასამართლო უკვე ამოქმედებულია!“<sup>51</sup> Bitch Nation-ი ემუქრება მკითხველს, რომელიც უბრალოდ ციტირებს, ამოგაღებს და ითვისებს ფანზინების კულტურას, ბევრი სხვა ფანზინი კი სექსუალური გაცხადების მომხმარებლურ კულტურაშია ჩართული და მკითხველს აიძულებს, დაინახოს, თუ რა პოზიციაზე იმყოფება იგი ან საკუთარი თავის პოლიტიკური და კულტურული რეპოზიციონირება მოახდინოს: ამგვარად, ქურნალი Thing-ის ყდა აცხადებს - “She Knows Who She Is” (მან იცის, ვინც არის), რაც ფემინური ნაცვალსახელის გვი გამოყენების მობილიზაციას ახდენს ქალის ქურნალის ხმით, რათა „ინსაიდერების“ კატეგორიზაცია დამოკიდებულებით მოახდინოს და არა - გენდერული ან სექსუალური იდენტობით. ამგვარად, არაპირდაპირი სახალისო მიმართვით ესენციალიზმის ბევრ სახესაც განაიარაღებს.

ამ სვლას, რომელიც მაყურებელს გამოძერწავს, როგორც *განსხვავებულს* იმ სპექტაკლისგან, რომელთანაც იგი იდენტიფიცირდება, ღილი პოლიტიკური ძალა აქვს ქალებისთვის, რომელთა კოლექტიური და ინდივიდუალური თვითრეპრეზენტაციები ყოველთვის ექვემდებარება შერცხვენას და, განსაკუთრებით, ლესბოსელებისთვის, ვისი სექსუალური სიმბოლოებიც გადაგვირთულია ჰეტეროსექსუალური პორნონდუსტრიის შემოქმედებით. ფანზინებს სირცხვილის მიმართულება სპექტაკლიდან მაყურებლისკენ გადააქვთ და ამგვარად *თანხმობის* მნიშვნელობას აბრუნებენ. სექსუალური იდენტობის სექსუალური გამომხატველობისგან განცალკევებით, სპექტაკლი, ასე ვთქვათ, უხეშად გელაპარაკება და შენ კარგავ პრივილეგიას, რომ სპექტაკლი მღუმარედ მოიხმარო -

<sup>49</sup> Sondra Golvin and Robin Podolsky, "Allegiance/Ecstasy," *Screambox* 1 (November 1990): 20-21.

<sup>50</sup> *Don't Tell Jane and Frankie*, no page number.

<sup>51</sup> ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ რისკზე მივდივართ, როდესაც Bitch Nation-ს მისი გაცხადებული ნების საწინააღმდეგოდ ვციტირებთ. მოუთმენლად ვვლით სასჯელს რედაქტორ G.B. Jones-ისგან.

საკუთარი ფანგამიების ნაგულისხმევი გაუცნობიერებლობით ან უპასუხისმგებლობით. როგორც *Negativa*, ჩიკაგოს ლესბოსური ფანზინი გვეუბნება: „რას უყურებ, ბოზო?“

თანხმობაზე დაფუძნებული სექსის ენიგმასთან კომპლექსურად არის დაკავშირებული თანხმობაზე დაფუძნებული ეროვნულობა, რომელიც ანალოგიურად მოიცავს თეორიებს თვითიდენტობაზე, განზრახვასა და სურვილზე, რომ საკუთარი სხეული უსაფრთხო ორმხრივი ან კოლექტიური უსამღვროებისთვის დათმო. ამერიკული და ქვიარ ეროვნული სპექტაკლი დამოკიდებულია მოქალაქის უნარზე, თავისი პირადული, დამსხვრეული სხეული კოლექტიურად იდენტიფიცირებულ მთლიან სხეულს შეუერთოს. ბიძია სემი თითს იშვერს და გვეუბნება, რომ უნდა, მთელი *შენი* სხეული, პირდაპირი და გადაგანითი მნიშვნელობით, ერს შესწირო, *Queer Nation* კი კომერციული და კოლექტიურად განსხვავებული სპექტაკლის მიმზიდველობას იყენებს, რათა განსხვავებული ტიპის მოქალაქეობისკენ გიბიძგოს. მაგრამ ფანზინების პოსტეროვნული სპექტაკლი შერწყმის ამ მომენტს არღვევს: როგორც კი *შენ*, სურვილით აღსავსე მოქალაქე, თითქოს ორმხრივი თანხმობის სივრცეში შედიხარ, უჩინარ თითს შენკენ იშვერენ. იგი ცხადს ხდის შენს სურვილს, რომ ჰომოკულტურის სპექტაკლი დაინახო, მაგრამ თავად უჩინარი დარჩე; იგი გარცხვენს, რადგან ააშკარავებს შენს იმ სურვილს, რომ „შეხვიდე“ და ასევე იდენტიფიცირებისთვის „ნებართვა“ გჭირდება; იგი მოითხოვს, რომ პასუხისმგებლობა აიღო საკუთარ სხეულსა და საკუთრებაზე, და საჭირო პოლიტიკური და ეროტიკული ვალი გადაიხადო.

მაშასადამე, ფანზინები, *Queer Nation*-ის მსგავსად, მორჩილებას და იმედგაცრუებას ბრამბად და პაროდიად გარდაქმნიან. *Queer Nation*-ი და მისი მოკავშირე ჯგუფები იბრძვიან, რათა ეროვნული ლეგიტიმაციის სივრცე დაიკავეთ, ეროვნული სამყარო უსაფრთხო გახადონ რესურსების გადანაწილებისა და კომუნიკაციის სამართლიანი სისტემებისთვის, უსაფრთხო გახადონ განსხვავებულობის, ბრამბისა და სექსუალობის სრულყოფილი გამოხატვისთვის. შესაბამისად, პაროდია და კემპი ეროვნულ პირობასთან სიახლოვის საზომი ხდება, ისევე, როგორც მასთან წვდომიდან მის შესრულებამდე მანძილის საზომი. ამისგან განსხვავებით, ფანზინების ქსელში ბრამბის, პაროდიისა და კემპის ქესტები შორდება ავთენტურობის დისკურსს, რომელიც გენდერული კომუნიკაციის, სექსუალური ობიექტის არჩევნისა და ეროვნული იდენტობის მიღმა გადის - ამის ნაცვლად, ენთუზიაზმით ავითარებს უარყოფას სიამოვნებისა და პოლიტიკისთვის. თავიანთ მისწრაფებაში, რომ მოახდინონ *შენი*, მოქალაქე/მაყურებელი/მკითხველი/შეყვარებულის, განსხვავება შენი უსხეულობის უარყოფით, ფანზინები პოსტპაგრიარქალური და პოსტეროვნული ფანგამიის ჰორიზონტს წარმოადგენენ.

სექსუალური და ეროვნული კომუნიკაციის ქესტები - როგორც მჩაგვრელი, ასევე განმათავისუფლებელი - ყველაზე პაროდიულ ფორმებშიც კი ნორმების შექმნის პროცესის ნაწილია. ფანზინები აღიარებენ სტერეოტიპული თვითიდენტობის საჭიროებასა და რეალობას, და ამავე დროს ცდილობენ, ძალადობრივად დაესხან თავს ამერიკაში მოგრიალე ნორმატიულ ფორმებს. იმგვარი პროცესის ხელშეწყობით, რომლის მეშვეობითაც სტერეოტიპები ჰიბრიდულ ფორმებად იქცევა და იდენტობისა და ჩაგვრის წარმომქმნელი მათი ფუნქცია იწურება, ფანზინები უფრო მეტსაც აკეთებენ, ვიდრე სიმბოლოს დეკონსტრუქციული „წაშლა“.<sup>52</sup> უარყოფილი სტერეოტიპი კვლავ ძალაშია: მასობრივი პოლიტიკა ჭეშმარიტად პოპულისტურ ვალუტას მოითხოვს. მაგრამ ეს ძვირადღირებული

<sup>52</sup> ეროვნულ სტერეოტიპისა და ჰიბრიდულ იდენტობებზე იხ. Homi K. Bhabha, "The Other Question: Difference, Discrimination and the Discourse of Colonialism," in *Out There*, 71-87.

სტერეოტიპია. მაშასადამე, ფანზინების დაპირისპირებას ეროვნულ პოლიტიკურ სუვერენობასთან სხვა მიმართულებით მივყავართ. ისინი მიგვანიშნებენ პოლიტიკის იმგვარ სივრცეზე, სადაც საზოგადოებაში „გარეთ“ ყოფნა არ ნიშნავს პოლიტიკური საჯარო სივრცის ფორმებზე პაროდიულ თანხმობას, არამედ სახელმწიფოსა და ინფორმაციული კულტურის ცენზურული წარმოსახვის *გარეთ* და *მიღმა* ყოფნას, რომელიც მისი სახელდებების წესის კონსოლიდაციას ახდენს. ჩვენ მხარს ვუჭერთ Queer Nation-ისა და ACT UP-ის მცდელობას, რომ წინააღმდეგობის პროცესში რაც შეიძლება მეტი ჰეგემონური სივრცე დაიკავონ. მაგრამ, გარდა ამისა, ჩვენ ვცდილობთ, აღვწერთ ნეგატიურობის სივრცის გარდაქმნის ღირებულება, რომელიც ქვიარი ამერიკელის იდენტობას ისეთი ძალის დისკურსულ ველში ათავსებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ახალი ტიპის ლექსიკური სპეციალისტების განვითარება მოუწევს, რათა სექსსა და ამერიკაზე სიგყვების გაცხარებულ ომში კოლექტიური ცხოვრების კოდი გაგეხოს, რა საკითხშიც ერი უკვე საოცრად არქაულია.